

ՀՈՒՈՒՍ ԳՈՆԱՆՆՈՒՆՎՈՐ



Finanzgruppe
Sparkassenstiftung für
internationale Kooperation

ჩვენი საფინანსო სისტემა	7-8
თქვენ და ფინანსური ორგანიზაცია	9-17
საფინანსო პროდუქტები	18-26
სხვა საფინანსო პროდუქტები	27-31
საკრედიტო ციკლი	32-41
თქვენი უფლებები	42-52
სასარგებლო რჩევები	53-54
ხელშეკრულების თავსართში მოცემული ინფორმაცია	55-56
ცოდნის შესამოწმებელი კითხვარი	57-58

განმარტებები

გადარიცხვა - თანხის გადატანა ერთი ანგარიშიდან მეორეზე. თანხა შეიძლება გადავიტანოთ მომხმარებლის სხვადასხვა ანგარიშს შორის ერთ ბანკში, ან ნებისმიერ სხვა ბანკში. თანხის გადატანა ასევე შესაძლებელია ერთი მომხმარებლის ანგარიშიდან მეორე მომხმარებლის ანგარიშზე იმავე, ან სხვა ბანკში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

დანაზოგი - გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაგროვებული თანხა;

დეპოზიტი (იგივე ანაბარი) - გარკვეული ვადით ან უვადოდ, თანხის განთავსება ისეთ ფინანსური ორგანიზაციაში, როგორცაა მხოლოდ ბანკი ან/და საკრედიტო კავშირი, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი;

დეპოზიტარი (მენაბრე) - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს დეპოზიტით;

ემისია - ფულის მიმოქცევაში გაშვება. საქართველოში ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს;

ესგ - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ეს არის საფინანსო პროდუქტის რეალური ღირებულება, რომელშიც გათვალისწინებულია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, ყველა ის ფინანსური ხარჯი, რომლის გაწევაც მომხმარებელს უწევს ამ პროდუქტით სარგებლობისას და ამ ხარჯების გაწევის პერიოდში;

თავდები - პირი, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური ორგანიზაციის მიმართ სესხის გადახდაზე, თუკი უშუალოდ მსესხებელი ვერ ან არ ფარავს საკუთარ სესხს;

ინვოისი - დოკუმენტი, რომელსაც გამყიდველი წარუდგენს მყიდველს გაწეული მომსახურების ან მოწოდებული საქონლის მიყიდვის შესახებ;

ინფლაცია - ფასების საერთო დონის ზრდა;

იპოთეკით დატვირთვა - უძრავი ქონების უზრუნველყოფად გამოყენება კრედიტის აღებისას ფინანსურ ორგანიზაციაში (კომერციული ბანკი, მისო და ა.შ.); გადაუხდელობის შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაცია იყენებს ამ ქონებას დაუბრუნებელი თანხის სანაცვლოდ;

კრედიტის/სესხის რეფინანსირება – ახალი კრედიტის გაცემით არსებული კრედიტ(ებ)ის გადაფარვა. რეფინანსირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც იმავე, ასევე სხვა ფინანსურ ორგანიზაციაში;

კრედიტის ძირითადი თანხა – საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებული საწყისი თანხა, რომელზეც ხდება საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა;

კრედიტის წინწრებით დაფარვა – კრედიტის ვადაზე ადრე, ნაწილობრივ ან სრულად გადახდა;

კრედიტუნარიანობა – მსესხებლის უნარი და მზადყოფნა, დროულად დაფაროს კონკრეტული სესხი მასზე დარიცხულ პროცენტთან ერთად;

მისო – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;

მომხმარებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს ფინანსური ორგანიზაციის პროდუქტით/მომსახურებით. ასევე, გამოიყენება ტერმინი კლიენტი;

მორალური ცვეთა – ნივთის იმ მდგომარეობამდე მიყვანა, როდესაც მისი გამოყენება მიზანშეწონილი აღარ არის არა ტექნიკური დაზიანების, არამედ მისი მსგავსი, მაგრამ უკეთესი და უფრო თანამედროვე ნივთის ექსპლუატაციაში გაშვების გამო;

მსესხებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს ფინანსურ ორგანიზაციაში სესხით/კრედიტით;

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი – კრედიტზე ან დეპოზიტის საწყის, ძირითად თანხაზე გარკვეული პერიოდულობით (მაგ.: ყოველწლიურად ან ყოველთვიურად) დარიცხული საპროცენტო განაკვეთი;

პრეტენზია – მომხმარებლის განცხადება (გეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით), რომლითაც იგი გამოხატავს თავის უკმაყოფილებას, დაუთანხმებლობას ან საჩივარს ფინანსური ორგანიზაციის მიმართ;

საბანკო ამონაწერი – საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე დროის გარკვეულ ინტერვალში განხორციელებული ყველა ოპერაციის ჩანაწერი;

საბანკო – საგადახდო (პლასტიკური) ბარათი – ეს არის ელექტრონული გადახდის საშუალება. ბარათით გადახდების განხორციელება შესაძლებელია როგორც ინტერნეტის, ისე POS (point of sale) ტერმინალის საშუალებით. ასევე, შესაძლებელია ბარათზე არსებული თანხის განაღდება ბანკომატის დახმარებით. არსებობს ორგვარი ბარათი: **სადებეტო და საკრედიტო**.

სადებეტო ბარათის შემთხვევაში ამ ბარათის ანგარიშზე მომხმარებელს თანხა თვითონ შეაქვს, ან მასზე ერიცხება სხვა თანხა (მაგ.: ხელფასი) და შემდეგ იყენებს ამ თანხას. **საკრედიტო ბარათით** სარგებლობისას კი, ფინანსური ორგანიზაცია **კრედიტის სახით** ახდენს წინასწარ განსაზღვრული ლიმიტის დაშვებას ბარათზე, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია თანხის გახარჯვა/ათვისება და დაბრუნება. საკრედიტო ბარათით სარგებლობისას განსაზღვრულია საშელავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ათვისებულ თანხას არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი. გასათვალისწინებელია, რომ საშელავათო პერიოდის ამოწურვის შემდეგ, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს მინიმალური შენატანი, რომელიც მოიცავს გახარჯული კრედიტის ძირითად თანხასაც და დარიცხულ პროცენტსაც. დადგენილ ვადებში გადაუხდელობის (დაგვიანების) დროს, როგორც სხვა სესხების შემთხვევაში, ირიცხება ჯარიმა. ყველა სახის პლასტიკური ბარათი დაკავშირებულია საბანკო ანგარიშთან, სადაც აღირიცხება ამ ბარათით ჩატარებული ყველა ოპერაცია;

საექსპლუატაციო ვადა – ნივთის დამამზადებლის მიერ დადგენილი პერიოდი ამ ნივთის დამზადებიდან მის შესაძლო მწყობრიდან გამოსვლამდე;

საკომისიო – თანხა, რომელსაც მომხმარებელი დამატებით იხდის ფინანსურ ორგანიზაციაში რაიმე სახის პროდუქტის ან მომსახურების მიღების სანაცვლოდ;

საკრედიტო ისტორია – ინფორმაცია ფინანსურ ორგანიზაციებში, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიერ აღებული სესხების და მათი გადახდის შესახებ;

საკრედიტო ოფიცერი - ფინანსური ორგანიზაციის თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტების საკითხებს (კრედიტის გაცემა, კრედიტის მონიტორინგი, კრედიტის დაბრუნების კონტროლი და სხვა.);

საფინანსო პროდუქტი - ფინანსური ორგანიზაციის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული ნებისმიერი პროდუქტი და მომსახურება (მაგ.: კრედიტი, დეპოზიტი და სხვ.);

საშეღავათო პერიოდი - დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის განმავლობაში მომხმარებელს არ უწევს გამოტანილი კრედიტის დაფარვა. საკრედიტო ბარათით სარგებლობისას საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დახარჯული თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში ამ თანხაზე ფინანსური ორგანიზაცია მომხმარებელს არ ახდევინებს პროცენტს;

სებ - საქართველოს ეროვნული ბანკი. იგი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს. საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისათვის, სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით, ეროვნული ბანკი სხვადასხვა წესებითა და რეგულაციებით ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს. ასევე, ეროვნული ბანკის ამოცანაა ქვეყანაში ინფლაცია, ანუ ფასების საერთო დონის ზრდა (მათ შორის, ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც ბაზარში იყიდება) ზომიერი იყოს და ძალიან მკვეთრად არ იცვლებოდეს. საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების ემისიას. სებ-ის ფუნქციას არ წარმოადგენს ფიზიკურ პირებზე კრედიტების გაცემა და დეპოზიტების მიღება;

სესხის მონიტორინგი - სესხის გაცემის შემდგომი ეტაპი, რომლის დროსაც ფინანსური ორგანიზაციის თანამშრომელი ახორციელებს გაცემული სესხის კონტროლს; იგი პერიოდულად/საჭიროებისამებრ ურეკავს ან ხვდება მომხმარებელს, მიმდინარე მდგომარეობის გასაცნობად და/ან იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მიზნობრივად იყენებს მომხმარებელი გაცემულ კრედიტს;

სესხის შენატანი - კრედიტის/სესხის დასაფარად, ფინანსურ ორგანიზაციაში წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით, გარკვეული პერიოდულობით შეტანილი/გადახდილი თანხა;

უზრუნველყოფის საგირავნო ღირებულება - კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (მაგ.: ბინა, კერძო სახლი, მიწა) ან დაგირავებული მოძრავი ქონების (მაგ.: ავტომანქანა) მინიმალური ფასი, რომლის ოდენობაც მისი რეალიზაციის შემთხვევაში საკმარისია გასაცემი კრედიტის დასაფარად. საგირავნო ღირებულებას ფინანსური ორგანიზაცია ადგენს აღნიშნული ქონების საბაზრო ფასის შემცირებით (დისკონტირებით);

უნაღდო ანგარიშსწორება - საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადახდა ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე, ფინანსური ორგანიზაციის (მაგ.: ბანკი) მეშვეობით, მყიდველის ანგარიშიდან გამყიდველის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, ან საგადახდო (საკრედიტო/საღებეტო) ბარათით ინტერნეტ-სივრცეში ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში, პოს-ტერმი-ნალის საშუალებით ანგარიშსწორებისას;

ფინანსური ორგანიზაცია - ორგანიზაცია, რომელიც გასცემს კრედიტს, მაგალითად, კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო კავშირი და სხვ. კომერციული ბანკი ასევე სთავაზობს მომხმარებელს ისეთ მომსახურებას, როგორცაა დეპოზიტის გახსნა, ფულადი გადარიცხვები და სხვ.;

ფინანსური რისკი - მოსალოდნელი საფრთხე, ამ შემთხვევაში, ფინანსური პრობლემის შექმნის საშიშროება;

ფინანსური ხარჯი - მომხმარებლის მიერ ფინანსურ ორგანიზაციაში გასაწევი ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია კრედიტის/დეპოზიტის, ან სხვა პროდუქტების მიღებასთან და მათით სარგებლობასთან;

ფულადი გზავნილი - თანხა, რომელიც შეიძლება გადარიცხოს (გააგზავნოს) მომხმარებელმა ფინანსურ ორგანიზაციაში ანგარიშის გახსნის გარეშე;

ცნობა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ - ცნობა, რომელსაც გასცემს კლიენტის მომსახურე ფინანსური ორგანიზაცია და რომელშიც მითითებულია, რა თანხა ფიქსირდება მომხმარებლის ანგარიშ(ებ)ზე;


ცნობა დავალიანების შესახებ – ფინანსური ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია, აქვს თუ არა მომხმარებელს ამ კონკრეტულ ორგანიზაციაში დავალიანება და აღნიშნულია ამ დავალიანების სრული ოდენობა;

ცხელი ხაზი – ორგანიზაციის სატელეფონო ნომერი, რომელზეც შესაძლებელია დაკავშირება ინფორმაციის მისაღებად ან უკმაყოფილების დასაფიქსირებლად (საქართველოს ეროვნულ ბანკში ასევე მოქმედებს ცხელი ხაზი: +995 322 406 406);

ხელშეკრულება – ორ ან მეტ მხარეს შორის წერილობით გაფორმებული შეთანხმება, სადაც გაწერილია გარიგების პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები;

ხელშეკრულების თავსართი – ხელშეკრულების ნაწილი (1-ლი გვერდი), სადაც მოცემულია საფინანსო პროდუქტის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობები (მაგ: საპროცენტო განაკვეთი, ვადა, ფინანსური ხარჯი და სხვ.);

ჯარიმა/პირგასამტეხლო – ფინანსური ორგანიზაციის მიერ დაწესებული ფულადი გადასახადი, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების (მაგ. შენატანის დაგვიანება) დარღვევისთვის.



ჩვენი საფინანსო სისტემა

საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) – წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს. საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისათვის, სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით, ეროვნული ბანკი სხვადასხვა წესებითა და რეგულაციებით ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს.

მომხმარებელთა უფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით, შესაბამისი რეგულაციების პარალელურად, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ქვეყანაში ფინანსური განათლების დონის ამაღლებაზე, რამდენადაც სწორედ ფინანსური განათლება ეხმარება მოსახლეობას გაიუმჯობესონ ფინანსური კეთილდღეობა და ჩამოყალიბდნენ ინფორმირებულ, პასუხისმგებელიან მომხმარებლებად, რომლებმაც იციან, თუ როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები და შეასრულონ საკუთარი პასუხისმგებლობები. ასევე, ეროვნული ბანკის ამოცანაა ქვეყანაში ინფლაცია-ფასების საერთო დონის ზრდა (მათ შორის, ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც ბაზარში იყიდება) – ზომიერი იყოს და ძალიან მკვეთრად არ იცვლებოდეს.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ვასცემს სესხებს კომერციულ ბანკებზე და ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს ფულის ნიშნების ემისია, ანუ ქართული ფულის

ბანკნოტებისა და მონეტების გამოშვება. ეროვნული ბანკი აქვეყნებს ოფიციალურ გაცვლით კურსს ქართულ ლარსა და სხვა ვალუტებს შორის, როგორცაა დოლარი, ევრო და ა.შ. საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების ემისიას. სებ-ის ფუნქციას არ წარმოადგენს ფიზიკურ პირებზე კრედიტების გაცემა და დეპოზიტების მიღება.


კომერციული ბანკი – ფინანსური ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ფულადი სახსრების მოზიდვა (მათ შორის დეპოზიტები ფიზიკური და იურიდიული პირებისგან), კრედიტების გაცემა და ფულადი ანგარიშსწორებები (თანხების ანგარიშებზე გადარიცხვა, განაღდება).

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) – არის ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროკრედიტების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუბრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა კრედიტების გაცემა, კანონით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული კრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100 000 (ასი ათას) ლარს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ დეპოზიტების

მიღება როგორც ფიზიკური, ისე იური-
დიული პირებისაგან. თუმცა, ისინი
მომხმარებლისგან სხვა ფორმით
მანც ახერხებენ თანხების მოზიდვას
და მას **თამასუქი** ეწოდება. **აქვე უნდა
აღინიშნოს, რომ 2018 წლის 11
მარტიდან ფიზიკური პირებისგან
თანხების მოზიდვა ეკრძალებათ
ისეთ მისიებს, რომლებიც არ არიან
რეგისტრირებული სეპ-ის მიერ,
საკრედიტო საქმიანობის ლიცენზი-
ის ან საბანკო საქმიანობის ლიცენ-
ზიის მქონე სუბიექტად.**

საკრედიტო კავშირი - არასაბანკო
სადეპოზიტო დაწესებულება, კოოპე-
რაცივის ორგანიზაციულ-სამართლებ-
რივი ფორმით რეგისტრირებული
საწარმო, რომელიც თავისი წევრე-
ბისგან იღებს დეპოზიტებს და გასცემს
მათზე კრედიტებს. უფრო მარტივად,
საკრედიტო კავშირი არის წევრე-
ბისგან (მეპაიეებისგან) შემდგარი
ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც
იზიდავს დეპოზიტებს და გასცემს
კრედიტებს მხოლოდ თავის წევრებზე
(ძირითადად რეგიონებში) და რომელ-
საც საკუთარი წევრები ფლობენ.

სესხის გამცემი სუბიექტი - ნები-
სმიერი პირი ან ურთიერთდაკავ-
შირებულ პირთა ჯგუფი, რომლის
მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ
ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდი-
ვიდუალურ მეწარმეს) აქვს სასე-ს
ხო/საკრედიტო ვალდებულება.



თქვენ და ფინანსური ორგანიზაცია

ფინანსურ ორგანიზაციებს არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამართული საფინანსო სექტორის გარეშე თანამედროვე ქვეყნის ეკონომიკა ვერ იარსებებდა. თუმცა, ჩვენთვის, როგორც მათი პოტენციური მომხმარებლისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი საკითხი: ფულის შენახვა – **დეპოზიტის გახსნა** და ფულის სესხება – **კრედიტის აღება**. ბუნებრივია, ჩვენი დანაზოგი შეიძლება სახლშიც შევიწახოთ და თანხის საჭიროების შემთხვევაში დახმარება მეგობარს ან ნათესავს ვთხოვოთ, თუმცა, ძირითად შემთხვევებში, ჩვენ არჩევანს ფინანსური ორგანიზაციის სასარგებლოდ ვაკეთებთ. მოდიოთ განვიხილოთ მიზეზები, თუ რატომ ვიქცევით ასე.

რატომ ვხსნით დეპოზიტს? – პირველ რიგში, დეპოზიტის გახსნის მოტივი შესაძლებელია იყოს საპროცენტო სარგებელი, რომელიც გვერიცხება თანხის დეპოზიტზე/ანაბარზე განთავსებისას, მისი სახლში, „ბალიშის ქვეშ“ შენახვისგან განსხვავებით. ამას გარდა, მიუხედავად 90-იანი წლების ნეგატიური გამოცდილებისა დეპოზიტების დაკარგვასთან დაკავშირებით, ამჟამად საფინანსო სფეროში ბევრად უფრო სტაბილური გარემოა. აქედან გამომდინარე, ისეთ ფინანსურ ორგანიზაციაში, როგორიც ბანკია, შენახული თანხა უფრო

საიმედოდაა დაცული, ვიდრე სახლში. გარდა ამისა, დეპოზიტის გახსნის სურვილი შესაძლოა იყოს ე.წ. დაზოგვის რეგულარული რეჟიმის გამომუშავების სურვილი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქართველოში, 2018 წლიდან ამოქმედდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემაც, რომლის მიხედვით, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტი ავტომატურად დაზღვეულია 5 000 ლარის ფარგლებში, თითოეული დეპოზიტორისთვის თითოეულ ბანკში. აღნიშნული კი მომხმარებლების დანაზოგების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ მომხმარებელი, რომელიც აგროვებს თანხას დეპოზიტზე, ფინანსური ორგანიზაციისთვის უფრო სტაბილური და საიმედო მომხმარებელია.

რატომ ვიღებთ კრედიტს? – რასაკვირველია, კრედიტის აღებამდე ყოველთვის ვეცდებით მისი უფასო ალტერნატივის პოვნას, მაგალითად, ფულის გამორთმევას მეგობრისთვის, ნათესავისთვის, კოლეგისთვის და ა.შ. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ მეგობარი ჩვენთვის კრედიტის სახით მოცემულ ფულზე საპროცენტო სარგებელს ჩვეულებრივ არ გვთხოვს, ჩვენ შეიძლება იმაზე უფრო მეტი თანხა გვჭირდებოდეს, ვიდრე მეგობარს შეუძლია გვასესხოს. ამასთან, ჩვენ შეიძლება აღნიშნული თანხის სესხება

ერთი წლით გვაწყობდეს, ხოლო მეგობარს მხოლოდ 2 თვით შეეძლოს ფულის მოცემა. სწორედ აქ წარმოიშობა ფინანსური ორგანიზაციების საჭიროება. მათ შეუძლიათ ზუსტად დაადგინონ იმ თანხის ოდენობა და გადახდის ვადები, რომელიც ყველაზე უფრო მორგებული იქნება თქვენს საჭიროებასა და შესაძლებლობებზე. იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსურ ორგანიზაციებში სხვადასხვა მოცულობისა და ვადის დეპოზიტები ინახება, მათ შეუძლიათ თავის მომხმარებლებზე გასცენ სესხები სხვადასხვა მოცულობით და დაფარვის ვადით. რა თქმა უნდა, ეს მომსახურება უფასო არ არის, რადგან ფინანსურ ორგანიზაციებსაც სხვადასხვა ხარჯი აქვთ, მაგალითად, ისინი თავიანთ მომხმარებლებს დეპოზიტებზე საპროცენტო სარგებელს უხდიან, აქვთ ადმინისტრაციული ხარჯები ხელფასებზე, ქირაზე, დაცვა-უსაფრთხოებაზე და ა. შ., რომლებიც მათ უნდა დაფარონ გაცემული კრედიტებიდან მიღებული შემოსავლით და მიიღონ მოგება.

როგორც ვხედავთ, ფინანსური ორგანიზაციის მთავარ საბრუნავ კაპიტალს წარმოადგენს ფული, რომელსაც ერთის მხრივ, იღებს მომხმარებლებისგან როგორც დეპოზიტს, რომელშიც გვიხდის სარგებელს და მეორეს მხრივ, ამ ფულს გვაძლევს ჩვენ, კრედიტის სახით, რათა მიიღოს საპროცენტო შემოსავალი. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებთანაც საფინანსო დაწესებულებები ასეთი სახის გარიგებებს დებენ, მომხმარებ-

ბელი ანუ კლიენტი ეწოდება. აღსანიშნავია, რომ გარიგების დადებას ორივე მხარე მისთვის სასარგებლო პირობებით ცდილობს.

დეპოზიტების მიზიდვის და კრედიტების გაცემის გარდა, ფინანსური ორგანიზაციები კლიენტებისთვის ახორციელებენ: საბანკო ანგარიშის გახსნას, ნაღდი და უნაღლო ანგარიშ-სწორების ოპერაციებს, გადახდის საშუალებების (საგადახდო (პლასტიკური) ბარათები, ჩეკები და სხვა) გამოშვებას, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას და სხვა.

მიზანი – რა მინდა?

პირველ რიგში, უნდა ჩამოვყალიბდეთ რა გვსურს, ანუ რისთვის გვესაჭიროება თანხა. ეს შესაძლებელია იყოს, როგორც ჩვენი პირადი მდგომარეობის ან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ასევე სხვადასხვა სახის მოულოდნელი ხარჯების დაფინანსება. მას შემდეგ, რაც დაადგენთ, რომ გჭირდებათ ტელევიზორი, სახლის გარემონტება ან თქვენი შვილის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის გადახდა, ზუსტად უნდა დაიანგარიშოთ რა თანხა დაგჭირდებათ მიზნის მისაღწევად. ყურადღება მიაქციეთ სასურველი მოთხოვნის დაკმაყოფილებისას ხომ არ არსებობს ალტერნატივები, მაგ., აუცილებელია 120 სმ ეკრანის მქონე ტელევიზორის შეძენა თუ შედარებით იაფი, 85 სმ-იანი ეკრანიც სავსებით საკმარისია?


ასევე, მნიშვნელოვანია დაფიქრდეთ

მიზნის მიღწევის ალტერნატივებზე. აიღოთ კრედიტი და შეიძინოთ სასურველი ნივთი დღეს, თუ დააგროვოთ საჭირო თანხა და დანაზოვით მიაღწიოთ სასურველ მიზანს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფულის ოდენობა, რომლითაც **დღეს** იძენთ ნივთს, შესაძლოა აღარ იყოს საკმარისი ამ ნივთის რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ შესაძენად, რადგან ამ თანხის **დღევანდელი მსყიდველობითი ღირებულება** შესაძლებელია გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე მომავალში იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა პირიქით, გაწყობდეთ კრედიტის აღება.

გადახდისუნარიანობა - რისი საშუალება მაქვს?

მას შემდეგ, რაც გვაქვს ჩვენი მიზნის მიღწევის რამდენიმე საინტერესო ალტერნატივა, საჭიროა განვსაზღვროთ რომელი მათგანის შერჩევა შეესაბამება ყველაზე უკეთ ჩვენს შესაძლებლობებს. ამისათვის უნდა გავიანგარიშოთ ბიუჯეტი - თანაფარდობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიუჯეტი ერთგვარი ფინანსური გეგმაა, რომელიც გარკვეული პერიოდისთვის (მაგ.: 1 თვე, 1 წელი, და ა.შ) შემოსავლების, ხარჯებისა და დანაზოგების ერთობლიობას წარმოადგენს. პირადი ან ოჯახის საერთო ბიუჯეტის სწორი გაანგარიშება გეხმარებათ განსაზღვროთ თქვენი გადაამ-

ხდელუნარიანობა და საფრთხე არ შეუქმნათ თქვენს ახლანდელ თუ სამომავლო ფინანსურ მდგომარეობას. თუ ზუსტად არ იცით თქვენი და თქვენი ოჯახის ყოველდღიური/ყოველთვიური შემოსავლები და ხარჯები, შეგიძლიათ ისარგებლოთ ბიუჯეტის დამგეგმავით.



ბიუჯეტის დამგეგმავის ნიმუში:

ოვე

შემოსავალი	თანხა
თქვენი ხელფასი	900
ოჯახის წევრის ხელფასი	600
ოჯახის წევრის პენსია	150
სხვა შემოსავალი (მაგ. იჯარა, გზავნილი)	200
სულ შემოსავალი	1850
ხარჯი	თანხა
ქირა	200
კომუნალური გადასახადები	120
სწავლის საფასური	170
სესხის შენატანი	60
კვება	400
ტანსაცმელი	250
სხვა ხარჯი (მანქანის რემონტი)	150
სულ ხარჯი	1350
თავისუფალი თანხა	500

პირადი ბიუჯეტის შედგენისას ყურადღება გაამახვილეთ თქვენი შემოსავლ(ებ)ის წყაროს ტიპებზე (ხელფასი, იჯარა, გზავნილები, პენსია და სხვა) და მათი მიღების სიხშირეზე, ანუ რა პერიოდულობით იღებთ თანხას. ასევე, გაითვალისწინეთ ყველა ის ხარჯი, რომელიც აღნიშნული შემოსავლებით იფარება.

თქვენი ოჯახის შემოსავლებისა და ხარჯების დადგენისას, მიზანშეწონილია, თუ ჯერ მათ სტრუქტურაზე

იფიქრებთ, ანუ განსაზღვროთ რამდენია ოჯახის თითოეული წევრის შემოსავალი და ვინ რა თანხას გამოყოფს ყოველდღიური ხარჯების დასაფარად. მაგ., თუ ოჯახის ერთ-ერთ წევრს (შვილს) საკუთარი შემოსავალი აქვს **300 ლარი**, მაგრამ ამ შემოსავლიდან ის მხოლოდ **100 ლარს** გამოყოფს ოჯახის საერთო ხარჯების დასაფარად (მაგ.: ქირა, კომუნალური, კვებაში და სხვა), ხოლო დანარჩენ თანხას საკუთარი

სურვილისამებრ ხარჯავს, მაშინ **ოჯახის საერთო შემოსავლების** ნაწილში მხოლოდ **100 ლარი** უნდა შეიტანოთ. იგივე წესი გამოიყენება ხარჯების მიმართაც. თუ ზემოაღნიშნული ოჯახის წევრი თავის დანარჩენ ფულს საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად იყენებს, ოჯახის საერთო ხარჯებშიც ეს ხარჯები გათვალისწინებული არ იქნება. მაგრამ თუ მას მშობელი ყოველთვიურად დამატებითი თანხით აფინანსებს, ეს რა თქმა უნდა ოჯახის ხარჯად ჩაითვლება.

თუ რეგულარულ შემოსავალს თქვენი საზღვარგარეთ მყოფი ნათესავებისგან იღებთ, ეს თანხა **მოკლევადიან** პერსპექტივაში (მაგ.: 1-3 თვე) შემოსავალში შეგიძლიათ ჩათვალოთ. მაგრამ თუ ამ შემოსავლის მიღება არასაიმედო და არასტაბილურია, ან მათი მიღება იგეგმება სამომავლოდ, კარგად უნდა დაფიქრდეთ ღირს თუ არა მათი გათვალისწინება ოჯახის საერთო შემოსავლებში **გრძელვადიან** პერსპექტივაში (მათ შორის სესხის აღების დროს).

ოჯახის ხარჯების დაგეგმვისას, განსაკუთრებით მიაქციეთ ყურადღება, რომ არ გამოვრჩეთ მხედველობიდან, როგორც ყველა **დაგეგმილი, მსხვილი ყოველთვიური ხარჯი** (კრედიტის შენატანი, დაზღვევის ხარჯი, კომუნალური გადასახადები, სწავლის საფასური), ასევე ისეთი ხარჯები, რომელთა გაწევაც სხვა-

დასხვა პერიოდში ან/და დაუგეგმავად გიწევთ (მაგ. მოგზაურობა, დაბადების დღეები, მკურნალობა). ასევე, სასურველია საკმარისი თანხა მოიტოვოთ გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის (მაგ., ავტომანქანის შეკეთების ან სანტექნიკის სამუშაოების ხარჯები). ეცადეთ ხარჯების მაქსიმალური ოდენობა გაითვალისწინოთ, რათა შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშება ზედმეტად ოპტიმისტური არ გამოვიდეს.

ზოგადად გახსოვდეთ, რომ არსებობს ფიქსირებული და ცვალებადი ხარჯები. პირადი თუ ოჯახის ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება მათ სინშირეს და საჭიროებას.

როგორც კი ჩამოწერთ თქვენს ყველა ხარჯს და მთლიან შემოსავლებს გამოვაკლებთ მთლიან ხარჯებს, დააკვირდით თვის ბოლოს რა ოდენობის **თავისუფალი თანხა** გრჩებათ და რამდენად საკმარისია ის თქვენი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მათ შორის **სამომავლოდ ასაღები კრედიტის შენატანების დასაფარად ან დასაზოგად** (მაგ.: ანაბარზე შესანახად) იმისათვის, რომ მოგვიანებით **საკუთარი თანხით შეიძინოთ** სასურველი ნივთი, მომსახურება ან გაწიოთ რაიმე სხვა ხარჯი.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ დამოგვა შესაძლებელია როგორც **მოკლე-**


ვადიანი ისე გრძელვადიანი მიზნებისთვის. ჩვეულებრივ მიზანი, რომლის მიღწევაც 12 თვეზე ნაკლებ პერიოდშია შესაძლებელი, მოკლევადიან მიზნად ითვლება. ასეთი შეიძლება იყოს შედარებით მცირე ზომის პირადი ან საოჯახო ნივთის შექმნა, დასვენება, რემონტი. ხოლო მიზანი, რომლის მიღწევასაც რამდენიმე წელი სჭირდება და შედარებით მაღალ ხარჯთან არის დაკავშირებული, უკვე გრძელვადიან მიზნად ითვლება (მაგ.: მანქანის შექმნა, განათლების ხარჯი, მცირე მშენებლობა და სხვა). ამას გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებელია თანხის შენახვა/დაზოგვა **გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის** (მათ შორის მკურნალობა, დაუგეგმავი რემონტი და სხვა).

ცხადია, თანხის დაგროვება ისეთი მნიშვნელოვანი ძვირადღირებული შენაძენისთვის, როგორცაა მაგალითად ბინა ან აგარაკი, საკმაოდ რთულია და დიდ დროს უკავშირდება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს თანხის სესხებაც, თუმცა ასეთ დროს განსაკუთრებით კრიტიკულად უნდა შეაფასოთ საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები.

თუ თქვენი მოკლევადიანი ფინანსური პრობლემის გადაწყვეტას კრედიტის საშუალებით აპირებთ, გაითვალისწინეთ, რომ კრედიტი დამატებით

ვალდებულებას დაგაკისრებთ. თქვენი შეიძლება მოაგვაროთ თქვენი მიმდინარე ფინანსური საჭიროებანი, მაგრამ გარკვეული ხნის განმავლობაში დამატებითი ხარჯებიც გექნებათ, რადგან თქვენ ფინანსურ ორგანიზაციას კრედიტს უბრუნებთ მასზე დარიცხულ პროცენტთან ერთად, ეს ხარჯი კი შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი თანხა იყოს. აქედან გამომდინარე, კრედიტზე განაცხადის შეტანამდე ყურადღებით გააანალიზეთ და შეაფასეთ თქვენი ფინანსური მდგომარეობა.

თუ მაინც გადაწყვეტთ, რომ გამოსავალი კრედიტის აღებაშია, გაითვალისწინეთ, რომ ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან კრედიტის გამოყოფის პროცესს გარკვეულწილად გაამარტივებს, თუ თქვენ, საქონლის ან მომსახურების შესაძენად თანამონაწილეობის სახით საკუთარ ფულსაც გამოიყენებთ. ეს ასევე დაგეხმარებათ იმაში, რომ აიღოთ ნაკლები ოდენობის სესხი.



ფინანსური ორგანიზაციის შერჩევა – სად მივიღო შესაფერისი დაფინანსება?

დღესდღეობით, ბაზარზე არსებული შემოთავაზების სიმრავლე და არჩევანის მრავალფეროვნება, იძლევა საშუალებას, რომ სწორედ მომხმარებელმა აირჩიოს პარტნიორი ფინანსური ორგანიზაცია. ამასთან, ამ უკანასკნელსა და მომხმარებელს შორის სამომავლო თანამშრომლობა მათ შორის შეთანხმების საგანია და თუკი ეს შეთანხმება ვერ შედგა, მომხმარებელს შეუძლია მიმართოს სხვა ფინანსურ ორგანიზაციას.

სასურველი საფინანსო პროდუქტისა თუ მომსახურების მიღების პროცესში პირველი ნაბიჯი ყოველთვის ინფორმაციის შეგროვებაა. შესაფერისი ფინანსური ორგანიზაციის ძიების პროცესში, სასურველია შეარჩიოთ ისეთი დაწესებულება, რომელიც თქვენს ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ფინანსური ორგანიზაციის შერჩევისას გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

- ეწვიეთ სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციას, გაიგეთ რას გთავაზობენ ისინი, რა პირობები აქვთ და რამდენად შეესაბამება ისინი თქვენს კონკრეტულ საჭიროებას? შეძლებისდაგვარად, მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით და ერთმანეთს შეადარეთ რამდენიმე შემოთავაზება;
- პირობების ახსნისას, პირველ რიგ-

ში, იკითხეთ საფინანსო პროდუქტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (ესგ). ეს არის მისი რეალური ღირებულება, რომელშიც გათვალისწინებულია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, ყველა ის ფინანსური ხარჯი, რომლის გაწევაც მომხმარებელს უწევს კრედიტით/დებოზიტით სარგებლობისას და ამ ხარჯების გაწევის პერიოდი. ესგ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სწორი არჩევანის გაკეთებისთვის;

- წინასწარ გაარკვიეთ სხვადასხვა საკომისიოს არსებობა და შეადარეთ მათი ოდენობები სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციებს შორის;
- ყურადღება მიაქციეთ კრედიტის ვადაგადაცილების შემთხვევაში გადასახდელ საკომისიოს, პირგასამტეხლოსა და ჯარიმის ოდენობას, შეადარეთ ისინი ერთმანეთს სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციებს შორის, რადგან ეს ოდენობები თითოეულ მათგანში შესაძლებელია განსხვავდებოდეს, ეს კი შეიძლება ორგანიზაციის შერჩევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყოს;
- როგორც კი გეცოდინებათ, რაში მდგომარეობს შეთავაზება, დაფიქრდით შემდეგზე: სასურველი ნივთი იმდენად აუმჯობესებს თქვენს პირობებს ან გიქმნით დამატებით კომფორტს, რომ მზად ხართ სესხის მთელი ვადის განმავლობაში შეამციროთ თქვენი ყოველთვიური ხარჯები, რათა აღებული კრედიტი დაფაროთ?!

- დაადგინეთ, შეესაბამება თუ არა კრედიტის დაფარვის ვადა შექმნილი საქონლის საექსპლუატაციო და/ან მორალური ცვეთის ვადას? რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისები, მაგრამ ზოგადად, არ არის რეკომენდებული, რომ 5 წლიანი კრედიტით შეიძინოთ ისეთი ნივთი – მაგალითად, მობილური ტელეფონი – რომლის მოსალოდნელი საექსპლუატაციო და/ან მორალური ცვეთის ვადა უფრო მცირეა და უახლოეს მომავალში გაუმჯობესებული მოდელიც გამოვა გაყიდვაში;

- ჰკითხეთ სხვებს, უშუალოდ მომხმარებლებს, ასევე გამოცდილ პროფესიონალებს, ფინანსური ორგანიზაციის რეპუტაციის, სტაბილურობის, გამოცდილების, პროფესიონალიზმის, მომსახურების ხარისხისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ და მიიღეთ მათი რეკომენდაცია ერთ ან მეორე ფინანსური ორგანიზაციაზე;

- თუ საფინანსო პროდუქტით ან მომსახურებით ხშირად მოგიწევთ სარგებლობა, ადგილმდებარეობასაც მიაქციეთ ყურადღება იმისთვის, რომ შორს წასვლა არ მოგიწიოთ;

- მნიშვნელოვანია, ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე, დეტალურად გაეცნოთ მასში მოცემულ პირობებს. ამისათვის, შეგიძლიათ ხელშეკრულების ასლი სახლშიც კი წაიღოთ, რათა გულდასმით გაეცნოთ მის შინაარსს.

გახსოვდეთ, გარდა მომსახურების მაღალი ხარისხისა და უკეთესი ტარიფებისა, მომხმარებელს ფინანსური ორგანიზაციის სახით სჭირდება პარტნიორი, რომელთან ურთიერთობაც აგებული იქნება ნდობასა და ორმხრივ თანამშრომლობაზე.

ფინანსური ორგანიზაცია

ფინანსური ორგანიზაციის თანამშრომლებმა უნდა მოგაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ. მაგალითად, კრედიტის აღების შემთხვევაში, თქვენ გექნებათ გარკვეული ხარჯები, როგორცაა: საპროცენტო ხარჯი, კრედიტის გაცემის საკომისიო, უზრუნველყოფის რეგისტრაციის ხარჯი და სხვა. ფინანსურმა ორგანიზაციამ კი ამომწურავი ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ ამ ხარჯებთან დაკავშირებით. ამასთან, ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა შეისწავლოს თქვენი ფინანსური მიზნები და გულწრფელად უნდა გირჩიოთ, თუ რომელი საფინანსო პროდუქტი ან მომსახურება შეესაბამება თქვენს საჭიროებას. თუკი სესხის აღებას აპირებთ, ფინანსურმა ორგანიზაციამ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს თქვენი, როგორც პოტენციური მომხმარებლის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა (შემოსავლის წყარო, მიმდინარე ვალდებულებები და ხარჯები, ოჯახური მდგომარეობა) და დარწმუნდეს

იმაში, რომ კრედიტის აღებით არ შეგვექმნებათ ფინანსური პრობლემები. ამის გარდა, ფინანსური ორგანიზაცია, როგორც წესი უნდა ცდილობდეს არ გასცეს პოტენციურად პრობლემური სესხი, რადგან ეს მისთვისაც სარისკოა.

კრედიტით/დეპოზიტით სარგებლობისას ფინანსური ორგანიზაციის მიერ აუცილებლად მოსაწოდებელი დეტალების შესახებ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებლის გვერდზე: <http://nbg.gov.ge/cp/>“ ასევე, შეგიძლიათ ისარგებლოთ ეროვნული ბანკის ცხელი ხაზით: +995 322 406406, როგორც დამატებითი შეკითხვებისთვის, ასევე უკმაყოფილების დასაფიქსირებლად.

მომხმარებელი

ფინანსური ორგანიზაციის თანამშრომელთან საუბრისას ყოველთვის გულწრფელი უნდა იყოთ. წარმატებული ურთიერთობის მთავარი წინაპირობაა ნდობა. თუ აღნიშნული დაწესებულება შეამჩნევს, რომ არასწორ ინფორმაციას აწვდით, აღარ გენდობათ და უარს იტყვის თქვენი საკრედიტო განაცხადის დაკმაყოფილებაზე. კრედიტის მიღება პირველ რიგში, დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად დაარწმუნებთ ფინანსურ ორგანიზაციას, რომ სანდო, პასუხისმგებელიანი და საიმედო პარტნიორი ხართ. კრედიტის აღებამდე კარგად

გააანალიზეთ რამდენად სტაბილური და საიმედოა თქვენი შემოსავლები (რაც შეიძლება მოიცავდეს ხელფასს, იჯარას, გზავნილებს), რადგან კრედიტის შენატანებისთვის განკუთვნილი შემოსავლის მნიშვნელოვნად შემცირების ან არარსებობის შემთხვევაში, კრედიტი მძიმე ტვირთად დაგაწევბათ თქვენ და თქვენს ოჯახს.

დაუშვებელია არასაკმარისი გადახდისუნარიანობის მქონე მომხმარებელზე კრედიტის გაცემა დამატებითი ანაზღაურების ან ქრთამის ხარჯზე, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის გაცემული. ეს ეწინააღმდეგება ნებისმიერი ფინანსური ორგანიზაციის შინაგანაწესს, გახლავთ სამართალდარღვევა და ისჯება კანონით. ამიტომ, ასეთი ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ფინანსური ორგანიზაციის შესაბამის სამსახურს (საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ბანკს, ან სამართალდამცავ ორგანოებს). აღნიშნული არაპროფესიონალური მიდგომა ლახავს, როგორც ფინანსური ორგანიზაციის რეპუტაციას, ასევე მომხმარებლის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობას უდიდესი საშიშროების წინაშე აყენებს.

საფინანსო პროდუქტები

ფინანსური ორგანიზაციები, მათ შორის კომერციული ბანკები, მომხმარებელს სთავაზობენ სხვადასხვა სახის საფინანსო პროდუქტს, როგორცაა: დეპოზიტი, კრედიტი, საბანკო ანგარიში, სადებეტო პლასტიკური ბარათი, სხვადასხვა ოპერაცია, დისტანციური მომსახურება.

დეპოზიტი

დეპოზიტი, იგივე ანაბარი - არის კომერციულ ბანკში კონკრეტული ვადით ან უვადოდ განთავსებული თანხა, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

ბაზარზე სხვადასხვა ტიპის და დასახელების დეპოზიტი არსებობს და მათი დაჯგუფება ორ ძირითად კატეგორიად შეიძლება - **უვადო/მოთხოვნამდე (იგივე შემნახველი) და ვადიანი დეპოზიტებად.**

უვადო/მოთხოვნამდე დეპოზიტი - არის დეპოზიტი, რომელიც იხსნება წინასწარ განსაზღვრული ვადის გარეშე და რომელსაც ერიცხება მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი. იგი წარმოადგენს დეპოზიტის ყველაზე მოქნილ სახეობას, რადგან ანგარიშზე თანხის ნებისმიერ დროს შეტანის/დამატების და გამოტანის და ამავდროულად საპროცენტო სარგებლის მიღების საშუალებას გაძლევთ. ჩვეულებრივ, მოთხოვნამდე დეპოზიტზე საპრო-

ცენტო სარგებელი სხვა დეპოზიტებთან შედარებით უფრო ნაკლებია. ამ ტიპის დეპოზიტი დაზოგვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა თუ წინასწარ არ იცით, როდის შეიძლება დაგჭირდეთ დეპოზიტზე განთავსებული თანხა.

ვადიანი დეპოზიტი - არის დეპოზიტი, რომელიც იხსნება წინასწარ განსაზღვრული ვადით და რომელსაც ერიცხება მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი. ასეთი დეპოზიტის სახეობებია: სტანდარტული ვადიანი, ზრდადი და საბავშვო დეპოზიტი. ვადიანი ტიპის დეპოზიტს მკაცრად განსაზღვრული ვადა აქვს, რომლის განმავლობაშიც, მაქსიმალური საპროცენტო სარგებლის მიღების მიზნით, თანხა უნდა გაჩერდეს დეპოზიტზე და თუ თქვენი ფულის ვადაზე ადრე გატანას გადაწყვეტთ, მაშინ, ან თავიდან შეთანხმებულ პროცენტზე უფრო დაბალ საპროცენტო სარგებელს მიიღებთ, ან შეიძლება საერთოდ ვერ მიიღოთ სარგებელი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ვადიანი დეპოზიტებზე საპროცენტო სარგებელი უფრო მაღალია, ვიდრე მოთხოვნამდე დეპოზიტებზე.

- თუ გაქვთ თანხა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე არ დაგჭირდებათ, მაშინ **სტანდარტული ვადიანი დეპოზიტი** თქვენთვის ყველაზე შესაფერისი პროდუქტია, რადგანაც ვადიანი დეპოზიტზე ყველაზე მაღალ საპროცენტო სარგებელს მიიღებთ.

ამასთან, ვადიანი დეპოზიტებიდან თავისუფლად შეგიძლიათ საპროცენტო სარგებლის გატანა, როგორც დეპოზიტის ვადის ბოლოს, ისე ვადის დასაწყისში, კვარტალში ერთხელ, ან თვეში ერთხელ.

- თუ თქვენ შეგიძლიათ ყოველთვიურად, დასაზოგად გადადოთ გარკვეული თანხა, წინასწარ განსაზღვრული ვადით, მაშინ ისარგებლეთ **ზრდადი დეპოზიტით**. მის გასახსნელად საჭიროა თავდაპირველი თანხა, რომელსაც ყოველთვიურად დაამატებთ გარკვეულ დანაზოგს. დანაზოგის მინიმალურ ოდენობას, როგორც წესი, ფინანსური ორგანიზაციები განსაზღვრავენ. **ზრდადი დეპოზიტი** საშუალებას მოგცემთ ყოველთვიურად გაზარდოთ დანაზოგი და მასზე შედარებით მაღალი საპროცენტო სარგებელი მიიღოთ. უნდა აღინიშნოს, რომ **ზრდადი და სტანდარტული ვადიანი** დეპოზიტები კარგი საშუალებებია კონკრეტული მიზნებისთვის თანხის შესაგროვებლად.

- **საბავშვო დეპოზიტი**, ჩვეულებრივ, 18 წლამდე ასაკის ბავშვისთვის იხსნება და მასაც კონკრეტული მიზნობრიობა აქვს. ის ზრდად დეპოზიტს ჰგავს, რადგანაც გაძლევთ შესაძლებლობას მასზე რეგულარულად დაამატოთ თანხა. დეპოზიტის გახსნით შეგიძლიათ გაცილებით უკეთ დაგეგმოთ თქვენი შვილის მომავალი (მაგალითად, შეაგროვოთ ფული მისი განათლების დასაფინანსებლად, ან სხვა ხარჯებისთვის). საბავშვო დეპო-

ზიტზე გადახდილი საპროცენტო სარგებელი, როგორც წესი, სტანდარტულ ვადიან და ზრდად დეპოზიტებზე უფრო მაღალია.

გარდა ზემოთჩამოთვლილი დეპოზიტებისა, ბანკში ასევე შეგიძლიათ ისარგებლოთ **სადეპოზიტო სერთიფიკატით**. ესაა საბანკო დეპოზიტის დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ყიდულობთ გარკვეული ვადით და მასზე გერიცხებათ **მაღალი საპროცენტო სარგებელი**.

გაითვალისწინეთ, რომ უცხოურ ვალუტაში გახსნილი დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს, რადგან ვალუტის კურსის ცვლილებამ (ლარის გამყარებამ უცხოური ვალუტის მიმართ) შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2018 წლიდან ამოქმედდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომლის მიხედვითაც, ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა 5,000 ლარამდე ავტომატურად დაზღვეულია თითოეულ კომერციულ ბანკში, რაც მომხმარებლების დანაზოგების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

სავარჯიშო “ანაბარი“:

ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა გარემოებები, რომელსაც შეეფერება კონკრეტული სახის ანაბარი. გთხოვთ, მონიშნოთ თითოეული სიტუაციისთვის შესაბამისი ანაბარი („ვადიანი“, „ზრდადი“, „საბავშვო“, ან „შემნახველი“).

ყურადღება: შესაძლებელია, ყოველი სიტუაციისთვის ერთზე მეტი ანაბარი იყოს შესაფერისი. თუმცა, თქვენი დავალებაა მონიშნოთ **მხოლოდ ერთი** – მოცემული გარემოებისთვის **ყველაზე მორგებული და სასარგებლო** ანაბრის ტიპი.

		ვადიანი	ზრდადი	საბავშვო	შემნახველი
1	მაქვს გარკვეული თანხა. მსურს ერთჯერადად შევიტანო ბანკში და მივიღო მაღალი სარგებელი				
2	მსურს დავავროვო კონკრეტული შენაძენისთვის წლის ბოლომდე				
3	მინდა დავავროვო შვილის სწავლისათვის				
4	მაქვს სტაბილური შემოსავალი, ანაბარს შემიძლია პერიოდულად დავამატო მცირე თანხა				
5	მსურს თანხის დაგროვება, მაქვს შემოსავალი, თუმცა არა სტაბილური				
6	თანხა არ დამჭირდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში				
7	თანხა ნებისმიერ დროს შეიძლება დამჭირდეს				

პასუხები იხილეთ 59-ე გვერდზე

კრედიტი

კრედიტი, ან როგორც ხშირად ჩვენ ვუწოდებთ სესხს – ეს არის გარკვეული თანხა, რომელსაც ფინანსური ორგანიზაცია გადმოგცემთ დროებით (კონკრეტული ვადით) და მასზე გარკვეულ პროცენტს დაგარიცხავთ, იმ პირობით, რომ ვადის ბოლოს სრულად დააბრუნებთ თანხას დარიცხულ პროცენტთან ერთად.

ფიზიკურ პირზე გასაცემი კრედიტების სახეებია: სამომხმარებლო კრედიტი, განვადება, იპოთეკური სესხი, სახელფასო ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი და სწრაფი სესხი.

• **სამომხმარებლო კრედიტი** არის კრედიტი, რომელსაც იღებთ პირადი მოხმარებისათვის გარკვეული საქონლის ან მომსახურების შესაძენად. სამომხმარებლო კრედიტით თქვენ შეგიძლიათ უზრუნველყოთ საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავეჯის, წვრილმანი საოჯახო ნივთების, ყოველდღიური მოხმარების საგნების, მოგზაურობის, მკურნალობის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სამომხმარებლო კრედიტების ვადა მეტწილად 3 წლამდეა. იგი გაიცემა თქვენი/ოჯახის შემოსავლის (ხელფასი, იჯარა, გზავნილები) საფუძველზე და როგორც წესი თქვენ მას ყოველთვიურად დაფარავთ თანაბარი შენატანების განხორციელებით.

• თქვენთვის სასურველი საქონლის

ან მომსახურების შეძენა, ასევე, შეგიძლიათ განვადების საშუალებით. განვადება ეს არის სამომხმარებლო ტიპის კრედიტი, რომელსაც მომხმარებელი თავისი შემოსავლის (ძირითადად ხელფასი) საფუძველზე იღებს ფინანსური ორგანიზაციიდან, მაღაზიაში/სავაჭრო ობიექტში კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად. როგორც წესი, თქვენ არ გჭირდებათ დამატებით ფინანსური ორგანიზაციაში მისვლა კრედიტის ასაღებად. ძირითადად, აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენელი უშუალოდ იმ მაღაზიასა თუ სავაჭრო ცენტრში მოგემსახურებათ, სადაც ნივთის ან მომსახურების შეძენა გსურთ. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ფინანსურ ორგანიზაციას არ ჰყავს სავაჭრო ცენტრებში განვადების წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში, მომხმარებელს მაღაზიიდან ფინანსურ ორგანიზაციაში მიაქვს ე. წ. ინვოისი, საიდანაც ამ ინვოისის საფუძველზე გამყიდველს გადაერიცხება საქონლის ან მომსახურების თანხა. განვადების უპირატესობა ისაა, რომ მისი გაფორმების პროცედურა, როგორც წესი, საკმაოდ სწრაფია. ამ ტიპის კრედიტით შეგიძლიათ დააფინანსოთ საოჯახო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ელექტრო ტექნიკის, ავტომობილის და სხვა სამომხმარებლო მიზნებისთვის განკუთვნილი პროდუქტის/მომსახურების შეძენა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში განვადებით შეძენილი საქონლის/მომსახურე-

ბის ფასი შესაძლოა აღემატებოდეს საკუთარი სახსრებით (ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით) შეძენილი საქონლის/მომსახურების ფასს.

უძრავი ქონების (სახლი, ბინა, აგარაკი, მიწის ნაკვეთი) **შესაძენად, ასაშენებლად ან გასარემონტებლად** ფინანსური ორგანიზაციები ხშირად გთავაზობენ სპეციალურ გრძელვადიან სესხს, რომლის აღებაც 20 წლამდე ვადითაც შეიძლება. ეს კრედიტები (მსგავსად სხვა ტიპის სესხებისა), თქვენი ყოველთვიური ხელფასის ან სხვა შემოსავლების გათვალისწინებით გაიცემა. ასეთი ტიპის კრედიტს **იპოთეკური სესხი** ეწოდება. იპოთეკური სესხისთვის, ფინანსური ორგანიზაციის მიერ, როგორც წესი, მოითხოვება შესაბამისი უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლოა იყოს ის უძრავი ქონება, რომლის შეძენასაც ამ სესხით აპირებთ, ან/და სხვა დამატებითი უძრავი ქონება.

- თუ ხელფასი გერიცხებათ საბანკო ანგარიშზე და თანხა გესაჭიროებათ მოკლევადიანი ვალდებულებების (მცირე კერძო ვალი, თანხის საჭიროება ხელფასის აღებამდე და სხვა) დასაფინანსებლად, შეგიძლიათ ისარგებლოთ **სახელფასო ოვერდრაფტით**. სახელფასო ოვერდრაფტი არის მოკლევადიანი კრედიტის გარკვეული ლიმიტი, რომელიც დაიშვება თქვენს მიმდინარე, სახელფასო

ანგარიშზე და გაძლევთ თანხის გამოყენების შესაძლებლობას მაშინ, როცა თქვენს მიმდინარე ანგარიშზე დროებით ფული აღარ გაქვთ. ოვერდრაფტის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, მომხმარებლის საკრედიტო ისტორიის, მიმდინარე ვალდებულებების და შემოსავლის შესაბამისად. სახელფასო ოვერდრაფტი ჩვეულებრივ ერთი წლის ვადით მტკიცდება, თუმცა, ის შეიძლება განსხვავებული ვადითაც გაიცეს. მას არ გააჩნია ყოველთვიური დაფარვის გრაფიკი. მისი დაფარვა/შევსება ხდება მაშინვე, როგორც კი თქვენს მიმდინარე ანგარიშზე ჩაირიცხება გარკვეული თანხა (მაგ.: ხელფასი). სახელფასო ოვერდრაფტზე პროცენტის დარიცხვა ხდება მხოლოდ ათვისებულ, ანუ გახარჯულ თანხაზე.

- გარდა ამ გავრცელებული საფინანსო პროდუქტებისა, ფინანსური ორგანიზაციები, კერძოდ კომერციული ბანკები, ასევე გთავაზობენ **საკრედიტო ბარათებს**, რაც საბანკო კრედიტის ერთ-ერთი სახეობაა. საკრედიტო ბარათი წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ პლასტიკურ საგადახდო ბარათს. იგი მიბმულია საკრედიტო ანგარიშზე, რომელზეც დაშვებულია საკრედიტო ლიმიტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკრედიტო ბარათი წარმოადგენს პლასტიკური ბარათის და სამომხმარებლო კრედიტის ნაზავს. საკრედიტო ბარათის მეშვეობით, თქვენ შეგიძლიათ თანხა გამოიყენოთ ნებისმიერ დროს,

ნებისმიერი პერიოდულობით, შეიძინოთ თქვენთვის სასურველი პროდუქტი ან მომსახურება ფინანსური ორგანიზაციის მიერ დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, როგორც სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში, ასევე ინტერნეტის საშუალებით, გადაიხადოთ კომუნალური თუ სხვა გადასახადები. ამასთან, შესაძლებელია საკრედიტო ბარათზე არსებული თანხის განაღდება ბანკომატის მეშვეობით. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ საკრედიტო ბარათის რეალურ ფუნქციას წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მისი გამოყენება, რადგან ბანკომატით ან ბანკის ფილიალში საკრედიტო ბარათიდან თანხის გამოტანისას ბარათზე გერიცხებათ საკომისიო (დამატებითი ხარჯი), ხოლო შემდგომ, ამ ათვისებულ თანხას ერიცხება პროცენტი და ჯამში უფრო მეტი თანხის გადახდა გიწევთ, ვიდრე უნაღდო ანგარიშსწორებისას მოგიწევდათ.

საკრედიტო ბარათს არ გააჩნია სტანდარტული დაფარვის გრაფიკი. თანხა, რომელსაც გახარჯავთ/აითვისებთ საკრედიტო ბარათის მეშვეობით, უნდა დააბრუნოთ მასზე დარიცხულ პროცენტთან ერთად. თუმცა, უმეტეს საკრედიტო ბარათზე მოქმედებს ე.წ. საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გამოყენებული თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში მას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯი. თანხის გარკვეული ოდენობის დაფარვის შემდეგ, შესა-

ძლებელია მისი თავიდან ათვისება. **აქედან გამომდინარე, აკონტროლეთ საშეღავათო პერიოდი, დროულად დაფარეთ ათვისებული თანხა ამ პერიოდის განმავლობაში, რათა თავიდან აიცილოთ დამატებითი ხარჯები.** თუ სრულად ვერ ფარავთ ათვისებულ თანხას საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, თქვენ ვალდებული ხართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდების ბოლოს დაფართ გამოყენებული თანხის გარკვეული ნაწილი და დარიცხული პროცენტი - **მინიმალური შენატანი.** ამის გაკეთება შეგიძლიათ ყოველთვიურად, თუმცა მხოლოდ მინიმალური შენატანის გაკეთება არ არის მართებული, რადგან **ძირითადი თანხის დიდი ნაწილი გრძელვადიან პერიოდში დაუფარავი რჩება,** მიუხედავად იმისა, რომ ეს მინიმალური შენატანი ნაწილობრივ ძირსაც ფარავს და პროცენტსაც.

საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტის ოდენობა დამოკიდებულია თქვენს ყოველთვიურ შემოსავლებსა და საკრედიტო ისტორიაზე. საკრედიტო ბარათებზე პირობები ყველა ბანკს ინდივიდუალური აქვს, თუმცა, ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ **საკრედიტო ბარათზე საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა ბევრად უფრო მაღალი იყოს, ვიდრე იგივე მოცულობის სხვა ტიპის სესხებზე.**

მრავალი კომპანია მომხმარებელს

სხვადასხვა არხით (მათ შორის მობ. ტელეფონზე SMS-ით) აქტიურად სთავაზობს ე.წ. „სწრაფ სესხებს“. ეს არის მცირე ოდენობის სესხი, რომელსაც ვასცემენ როგორც ბანკები და მისო-ები, ასევე ე.წ. „ონლაინ სესხების“ გამცემი ორგანიზაციებიც (ამ უკანასკნელს ხშირად „სწრაფ ონლაინ სესხს“ უწოდებენ). სებ-ის ახალი რეგულაციების შემოღებამდე ასეთი სესხები გაიცემოდა სწრაფად (რამდენიმე წუთში), მომხმარებლის ფინანსური შესაძლებლობების შემოწმების გარეშე, თუმცა სესხის ასეთი ფორმით გაცემამ შესაძლოა დამატებითი რისკის წინაშე დააყენოს მომხმარებელი, ამიტომ ზემოაღნიშნული რეგულაციის საშუალებით სებ-ი ავალდებულებს ფინანსურ ორგანიზაციებს სესხის გაცემამდე ჩაატარონ მომხმარებლის სრულფასოვანი ფინანსური ანალიზი, მისი კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნით.

გარდა ამისა, ე.წ. სწრაფი სესხი ითვლება **ძვირ პროდუქტად**, რადგან **მაღალი საპროცენტო განაკვეთი და დიდი ოდენობის საკომისიო თუ ჯარიმები** აქვს. ონლაინ სესხებს, როგორც წესი, ვასცემენ მოკლე ვადით, ძირითადად 1 თვით, თუმცა შესაძლებელია დაფარვის გადავადება დამატებითი საკომისიოს გადახდის შედეგად.

მომხმარებელი ძირითადად მიმართავს ონლაინ სესხებს მოკლევადიანი

ხარჯების (კომუნალური გადასახადი, სხვა სესხის შენატანი, დასვენება და სხვ.) დასაფარად. თანხის სიმცირიდან გამომდინარე, ის თვლის, რომ არ გაუჭირდება ვალის დაბრუნება ან უკიდურეს შემთხვევაში გადაავადებს მის გადახდას. თუკი ეს პროცესი სისტემატიურ ხასიათს იღებს და მომხმარებელიც სხვადასხვა ონლაინ სესხით ხშირად სარგებლობს, ეს ძალიან სარისკოა, რადგან შესაძლოა ველარ გაუმკლავდეს სესხების დაფარვას და დადგეს ჭარბვალიანობის რისკის წინაშე.

ონლაინ სესხი, შესაძლოა, მოსახერხებელია გარკვეულ სიტუაციაში, თუმცა, დაფიქრდით, იქნებ კონკრეტული მიზნისთვის აჯობებს ისარგებლოთ არა მოკლევადიანი (ერთთვიანი) სესხით, რომლის გადახდის შესაძლებლობა ასეთ მოკლე ვადაში საეჭვოა, არამედ იფიქროთ სხვა საშუალებებზე, მაგალითად, მობილური ტელეფონი შეიძინოთ განვადებით, ან ბინა გაარემონტოთ სამომხმარებლო კრედიტით და ყოველთვიურად იხადოთ (შედარებით მცირე) თანხა, რომელსაც **ფინანსური ორგანიზაცია განსაზღვრავს თქვენი შემოსავლებიდან გამომდინარე**.

მოსახლეობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს კრედიტთან დაკავშირებით. ერთ ნაწილს აქვს უფრო ფრთხილი დამოკიდებულება და ყურადღებას აქცევს დეტალებს, მაშინ, როცა მეორე ნაწილისთვის

მთავარია სესხის აღება, ხოლო ის, თუ რა რისკები ახლავს მას თან, ეს მეორეხარისხოვანია.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს არსებობს უამრავი სხვადასხვა სახის კრედიტი, რომელთა არასწორი გამოყენება ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას დაამძიმებს და დააზარალებს. აქედან გამომდინარე, გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი:

- ნუ აიღებთ სესხს, სხვა კრედიტის ყოველთვიური შენატანის დასაფარად. ამ დროს თქვენ თითქოს აგვარებთ ერთ პრობლემას, თუმცა რეალურად ქმნით ორს, რადგან მომდევნო თვეში უკვე 2 კრედიტის დაფარვა გიწევთ;

- ადვილად ხელმისაწვდომი კრედიტი არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად თქვენს საჭიროებაზეა მორგებული. როგორც წესი, კრედიტის აღებას აადვილებს ის, რომ არ ხდება თქვენი გადახდისუნარიანობის შემოწმება. შედეგად, შეიძლება აიღოთ იმაზე მეტი ვალი, ვიდრე შეგიძლიათ დაფაროთ;

- თუ კრედიტის პირობები თქვენთვის ბუნდოვანია, ეცადეთ ბოლომდე გაერკვიოთ ან უარი თქვით მასზე, რადგან შესაძლებელია სამომავლოდ წარმოიშვას გაუთვალისწინებელი ხარჯი (პროცენტის გაზრდა), რომელიც გაგიძვირებთ აღნიშნულ კრედიტს;

- ნებისმიერი კრედიტით სარგებლობის შემთხვევაში, თუ შემოსავლის და კრედიტის ვალუტა ერთმანეთისგან განსხვავებულია, თქვენ მნიშვნელოვანი რისკის წინაშე ხართ, რადგან

ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს სესხის შენატანების ზრდა;

- მოერიდეთ კერძო მევახშეებისგან და ლომბარდებიდან სესხის აღებას, რადგან ასეთი სესხები საკმაოდ ძვირია. ასეთი სესხის აღებისას, ხშირ შემთხვევაში ფარავთ მხოლოდ ყოველთვიურ %-ს, ხოლო ძირითადი თანხა მუდმივად გრჩებათ გადასახდელი, ასევე გადაუხდელობის შემთხვევაში არსებობს უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების (ბინა, ავტომანქანა, ძვირფასი ნივთები) დაკარგვის მაღალი ალბათობა;

- ნუ აიღებთ სესხს მესამე პირისთვის (სხვისთვის), მისი ვერ დაბრუნების შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ მხოლოდ თქვენ, რადგან იურიდიულად მსესხებელი თქვენ ხართ;

- უძრავი ქონების შესაძენად ხშირად მივმართავთ იპოთეკურ კრედიტს. მეტწილად მისი ოდენობა დიდია და ჩვენი შემოსავალი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოკლე ვადაში დავფაროთ, რადგან რაც უფრო მოკლევადიანია კრედიტი, მით უფრო მაღალია მისი ყოველთვიური შენატანი. ამის გათვალისწინებით, შესაძლოა ფინანსურმა ორგანიზაციამ შემოგთავაზოთ გრძელვადიანი (10-15 წლიანი) სესხი. ასეთი სესხი კი ბუნებრივია საჭიროებს მუდმივ და სტაბილურ შემოსავალს რამდენიმეწლიან პერსპექტივაში.

რისკი – ჭარბვალღიანობა


სესხის გონივრულად აღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის (მათ შორის საკუთარი გადახდისუნარიანობის შეფასება) არასათანადოდ გაცნობიერების შემთხვევაში, არსებობს მაღალი რისკი, რომ აღმოჩნდეთ **ჭარბვალღიანობის** საფრთხის წინაშე და რაც მთავარია, ვეღარ შეძლოთ ვალდებულების დაფარვა. **ჭარბვალღიანობა ის მდგომარეობაა, როცა ფიზიკურ/იურიდიულ პირს იმაზე მეტი ვალი აქვს აღებული, ვიდრე მას შეუძლია თავისი შემოსავლის გათვალისწინებით დაფაროს.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭარბვალღიანობის დროს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ან/და თუნდაც მცირე ოდენობის დანაზღვის შექმნის ნაცვლად, შემოსავლის უდიდესი ნაწილი მხოლოდ ვალების დაფარვას ხმარდება. ასეთ დროს ადამიანებს უწევთ ისეთი ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირება, როგორცაა: კვება, ჯანდაცვა, განათლება და სხვა. ჭარბვალღიანობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს:

- სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციებში პარალელურად აღებული რამდენიმე კრედიტით (მაგალითად ე.წ. სწრაფი სესხი), რომელთა მოცულობა მცირეა, თუმცა აქვთ მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რის გამოც, სესხზე შენატანები, მთლიანობაში, დიდი თანხა გამოდის. ისინი ხშირად გაიცემოდა მომხმარებლის გადახდისუნარიანობის შეფასების გარეშე, თუმცა როგორც ზემოთ არის

აღნიშნული, ამჟამად, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია სესხი გასცეს მომხმარებლის ფინანსური ანალიზის (გადახდისუნარიანობის შეფასების) საფუძველზე;

- არასწორი ფინანსური დაგეგმარებით და ბედმეტი ხარჯვით საკრედიტო ბარათებისა თუ განვადებების ხარჯზე;
- მოულოდნელად, შემოსავლების შემცირების ან გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოშობით;
- დიდი ოდენობით პირადი/კერძო ვალების საფუძველზე.

ჭარბვალღიანობის დროს, ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ ახალი სესხის აღებით სიტუაციას გამოასწორებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება!



სხვა საფინანსო პროდუქტები

ბანკში სხვადასხვა ოპერაციის განსახორციელებლად საჭიროა გვექონდეს გახსნილი საბანკო ანგარიში. მისი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა **მიმდინარე ანგარიში**.

მიმდინარე ანგარიში ეს არის მომხმარებლის საბანკო ანგარიში, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ოპერაციებისთვის, როგორცაა თანხის შეტანა, გატანა, გადარიცხვა და ვალუტის კონვერტაცია.

ძირითადად ასეთი ტიპის ანგარიში **მულტისავალუტოა** (იხსნება როგორც ლარში, ასევე სხვადასხვა ვალუტაში), ამასთან შესაძლებელია მომხმარებელს **მხოლოდ ლარის მიმდინარე ანგარიში** ჰქონდეს.

გაითვალისწინეთ:

- მიმდინარე ანგარიშის გახსნა შესაძლოა იყოს ფასიანი, რაც გულისხმობს იმას, რომ თქვენ აღნიშნული ანგარიშის გახსნისას ერთჯერადად გადაიხდით გარკვეულ თანხას;
- დღესდღეობით ბანკების უმრავლესობას დაწესებული აქვთ მიმდინარე ანგარიშის მომსახურების საკომისიოც. ეს არის ფიქსირებული თანხა, რომელსაც ყოველთვიურად გადაიხდით აღნიშნული საფინანსო პროდუქტით მომსახურებისთვის;
- მომსახურების საკომისიოს ყოველთვიურად არ გადახდის შემთხვევაში, ის დაგროვდება. მომხმარებლის მიერ მის მიმდინარე ანგარიშზე რაიმე თანხის შეტანისას არსებული დავა-

ლიანება (ყოველთვიურად დაგროვილი საკომისიო) დაიფარება აღნიშნული თანხიდან. თუ შეტანილი თანხა წარმოადგენს სესხის შენატანს და მის ნაწილს ფინანსური ორგანიზაცია გამოიყენებს საკომისიოს დასაფარად, აღნიშნული შენატანი სრულად არ დაიფარება და სესხზე დაფიქსირდება ვადაგადაცილება;

- თუ მომხმარებელი ზედიზედ 12 თვის განმავლობაში აღარ იყენებს მიმდინარე ანგარიშს და მასზე დადებით ნაშთიც არ ფიქსირდება, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია შეწყვიტოს აღნიშნული ანგარიშის მომსახურების საკომისიოს დარიცხვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მომხმარებელი სარგებლობს სხვა აქტიური პროდუქტით, მაგალითად დეპოზიტით, რადგან შესაძლოა მიმდინარე ანგარიში საჭირო იყოს დეპოზიტით სარგებლობისთვის;
- მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ანგარიში იხსნება უვადოდ, მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს ფინანსურ ორგანიზაციას არსებული ანგარიშის დახურვის მოთხოვნით. აღნიშნული მოთხოვნის გარეშე, ორგანიზაცია არ არის ვალდებული დახუროს ანგარიში და შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხმარებელს მოუწიოს მომსახურების საკომისიოს გადახდა;
- თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშზე ბრუნვა არ ფიქსირდება, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ანგარიში,

ამიტომ ანგარიშის გახსნისას წინასწარ გარკვევით აღნიშნული ვადა;

- ბანკები მომხმარებლებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის პლასტიკურ საგადახდო ბარათებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ საბანკო ანგარიშებთან, სადაც აღირიცხება ამ ბარათით ჩატარებული ყველა ოპერაცია. საგადახდო ბარათის ერთ-ერთი სახეობაა სადებეტო ბარათი, რომელიც „მიბმულია“ მომხმარებლების მიმდინარე ანგარიშზე და იძლევა საშუალებას მომხმარებლებმა მართონ საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხა: მაგალითად, გამოიტანონ თანხა ბანკომატის საშუალებით ან მოახდინონ საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდა სხვადასხვა ობიექტებში და ინტერნეტ სივრცეში (სავაჭრო ცენტრი, მარკეტი, სასტუმრო, ვებ-გვერდი (მათ შორის, კომუნალური გადასახადების ინტერნეტით გადახდა) და სხვა). სადებეტო ბარათის შემთხვევაში ამ ბარათის ანგარიშზე ჯერ შევითანთ/ვრიცხავთ თანხას (თანხა შესაძლებელია შეტანილი ან ჩარიცხული იყოს როგორც ჩვენს მიერ, ასევე სხვა პირის ან ორგანიზაციის, მაგალითად, დამსაქმებლის მიერ) და შემდეგ ვიყენებთ ამ თანხას. გაითვალისწინეთ, ბარათთან ერთად ბანკი დალუქულ კონვერტში გადმოგცემთ ბარათის პინ-კოდს, ციფრების გარკვეულ კომბინაციას, რომელიც დაჭირდებათ ბარათით სარგებლობისთვის. თქვენ უნდა შეცვალოთ ეს პინკოდი და კოდისთვის აარჩიოთ შემთხვევითი ციფრები,

რომლის დამახსოვრებასაც შეძლებთ, მაგრამ მესამე პირისთვის იქნება რთულად გამოსაცნობი. ამასთან, რეკომენდირებულია პინ-კოდის დამახსოვრება ან შენახვა უსაფრთხო ადგილას. არასოდეს შეინახოთ პინ-კოდი ბარათთან ერთად, არ აწეროთ ის ბარათს და არ ჩაიწეროთ სხვა პირებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას. პინ-კოდის დავიწყების ან დაკარგვის შემთხვევაში, მიმართეთ ბანკს, რომელმაც გადმოგცათ ბარათი. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ზოგ ბანკს დაწესებული აქვს პლასტიკური ბარათით თანხის გამოტანის/გადახდის საკომისიოები, რომლის გადახდაც მოგიწევთ ბარათის გამოყენებისას.

გარდა ზემოაღნიშნული საფინანსო პროდუქტებისა, ფინანსურ ორგანიზაციებში (ძირითადად ბანკებში) ასევე შეგიძლიათ განახორციელოთ სხვა ოპერაციებიც, როგორცაა: **გადარიცხვები საკუთარ ანგარიშებს შორის, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო გადარიცხვები, სწრაფი ფულადი გზავნილი, ავტომატური გადარიცხვა და კომუნალური გადახდები.** თითოეულ მათგანზე ქვემოთ უფრო დეტალურად ვიმსჯელებთ.

ბანკის მომხმარებელს აქვს საშუალება გადარიცხოს თანხა საკუთარ ანგარიშებს შორის. მაგალითად, მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხა გადაიტანოს საანაბრე/სადეპოზიტო ანგარიშზე ან პირიქით. ასევე, შესაძლებელია **თანხები გადაირიცხოს** სხვადასხვა ბანკს შორის, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე,

საზღვარგარეთ. ამ დროს თანხის გადარიცხვა ხდება ანგარიშიდან ანგარიშზე და აუცილებელია, რომ როგორც თანხის გამგზავნს, ისე თანხის მიმღებს გახსნილი ჰქონდეს ანგარიში ბანკში და თანხის გამგზავნმა იცოდეს მიმღები პირის ანგარიშის ნომერი და საბანკო რეკვიზიტები. გაითვალისწინეთ, რომ უცხოურ ვალუტაში როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ კომერციულ ბანკებს შორის გადარიცხვებს შესაძლებელია მაღალი საკომისიო ჰქონდეს. ამიტომ, სასურველია, საკომისიოს შესახებ ინფორმაცია იკითხოთ წინასწარ.

გარდა ამისა, შესაძლებელია თანხის გადარიცხვა ანგარიშის გაუხსნელადაც. ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ ისარგებლოთ მრავალი სახის **სწრაფი ფულადი გზავნილით**, ისეთებით, როგორიცაა: Western Union, Money Gram, Zolotaya Korona, Anelik, Intel Express, Unistream, Contact და სხვა. ამ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ თანხის მიმღების სახელი, გვარი და გზავნილის კოდი, რითაც ხდება გზავნილის იდენტიფიკაცია. სწრაფი ფულადი გზავნილის სისტემით გაგზავნილ თანხას მიმღები აიღებს ნებისმიერ ბანკში (ასევე ზოგიერთ მისო-ში), რომელიც ემსახურება ამ გზავნილის სისტემას. აღნიშნულ მომსახურებებზე ბანკს შესაძლებელია დადგენილი ქონდეს მის მიერ განსაზღვრული საკომისიო.

მიმდინარე ანგარიშზე შეგიძლიათ ჩართოთ **ავტომატური გადარიცხვა**. იგი წარმოადგენს თქვენს მიერ ბან-

კისათვის მიცემულ დავალებას, რომლის მიხედვითაც ბანკი თქვენგან დამოუკიდებლად (ბანკში მიუსვლელად), გარკვეული პერიოდულობით განახორციელებს განსაზღვრული ტიპის გადარიცხვებს. ავტომატური დავალება გაძლევთ საშუალებას ავტომატურად განახორციელოთ ისეთი რეგულარული ოპერაციები, როგორიცაა კომუნალური გადასახადების ან სწავლის საფასურის გადახდა, დეპოზიტზე თანხის ყოველთვე გადარიცხვა და სხვ.

საბანკო ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში ან ნაღდი ფულით, აბონენტის ნომრის მითითებით, თქვენ შეგიძლიათ გადაიხადოთ სხვადასხვა სახის **კომუნალური გადასახადები**.

ბემოაღნიშნული საფინანსო პროდუქტები და მომსახურება ძირითადად საჭიროებს თქვენს ფიზიკურად მისვლას ფინანსურ ორგანიზაციაში ერთხელ მაინც, რაც შესაძლოა არც თუ ისე ხელსაყრელი და კომფორტული იყოს თქვენთვის. აქედან გამომდინარე, ფინანსური ორგანიზაცია გთავაზობთ **დისტანციურ მომსახურებას**. იგი წარმოადგენს ისეთ მომსახურებას, რომელიც საშუალებას მოგცემთ ფინანსურ ორგანიზაციაში მისვლის გარეშე შეასრულოთ ოპერაციები ან მიიღოთ ინფორმაცია თქვენი ანგარიშების/გადახდების შესახებ. დღესდღეობით, შეგიძლიათ ისარგებლოთ დისტანციური მომსახურების ისეთი ფორმებით, როგორიცაა: **ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, SMS ბანკი, რომლებიც, როგორც**

წესი, ფასიანი გახლავთ.

ინტერნეტ ბანკი გულისხმობს ბანკში მიუსვლელოდ, ნებისმიერ დროს, ინტერნეტ-გვერდის საშუალებით, თქვენი საბანკო ანგარიშების სწრაფად და ეფექტურად მართვასა და კონტროლს.

მობაილ ბანკი გახლავთ მობილური ტელეფონის აპლიკაცია (ფუნქციონალურად ინტერნეტ ბანკის მსგავსია), რომელიც შეგიძლიათ დააყენოთ სხვადასხვა ტიპის სმარტფონებში (მობილური ტელეფონების თანამედროვე სახეობა) და თქვენი ტელეფონიდან ნებისმიერ დროს დაუკავშირდეთ ბანკს, შეამოწმოთ ნაშთი და საბანკო ამონაწერი და ანგარიშებზე განახორციელოთ თქვენთვის სასურველი ტრანზაქცია, მაგალითად, დაფართოთ კომუნალური ხარჯები, გადარიცხოთ და დააკონვერტიროთ თანხები და ა.შ.

როგორც ინტერნეტ ბანკის, ასევე მობაილ ბანკის შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნით საჭიროა პროგრამაში წვდომის პაროლები, რომელსაც თქვენ ირჩევთ სურვილის მიხედვით და დაუშვებელია მისი სხვა პირისთვის გადაცემა. ორივე მომსახურება გაძლევთ საშუალებას შეამოწმოთ საკუთარ საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთები. დადებითი ნაშთის არსებობის შემთხვევაში, შეასრულოთ გარკვეული ოპერაციები, მათ შორის გადარიცხვით თანხები საკუთარ ანგარიშებს შორის, ან სხვა პირის ანგარიშზე, შეივსოთ მობილური ტელეფონის ბალანსი, გადახადოთ კომუნალური თუ სხვა გადასა-

ხადები, მოახდინოთ ვალუტის კონვერტაცია და სხვა.

გარკვეული ოპერაციების სამართავად და დამატებითი უსაფრთხოების მიზნით, ხშირად საჭიროა გამოიყენოთ **დიჯიპასი**. ის წარმოადგენს ერთჯერადი კოდის მიმღებ მოწყობილობას. დიჯიპასი ყოველ გამოყენებაზე ეკრანზე ქმნის ციფრების ახალ კომბინაციას, რომელიც გამოიყენება ინტერნეტ ბანკით და მობაილ ბანკით თანხების გადარიცხვების (იგულისხმება თანხის გადარიცხვა თქვენი ანგარიშიდან სხვა პირის ანგარიშზე როგორც იმავე, ასევე სხვა ბანკში) დროს. გარკვეული ტიპის გადარიცხვების დასრულების დროს პროგრამა მომხმარებელს სთხოვს დიჯიპასით მიღებული კოდის შეყვანას. დიჯიპასის მიღება შესაძლებელია ბანკში ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკინგით სარგებლობის შემთხვევაში.

თუ თქვენ არ გსურთ დამატებითი მოწყობილობით სარგებლობა, დიჯიპასის ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ **SMS კოდი**. დიჯიპასისგან განსხვავებით, ამ საფინანსო პროდუქტით სარგებლობისას გადარიცხვისთვის საჭირო კოდი მოგივით SMS-ის საშუალებით.

გაითვალისწინეთ, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას თუ როუმინგით არ სარგებლობთ, SMS კოდს ვერ მიიღებთ, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უფრო მოსახერხებელია ისარგებლოთ დიჯიპასით.

SMS ბანკით სარგებლობისას ბანკი თქვენი მობილური ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების მეშვეობით

გაწვდით ინფორმაციას თქვენს საბანკო ანგარიშებზე მიმდინარე ოპერაციების შესახებ: ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის, ანგარიშიდან გასავლის ოპერაციის, კრედიტზე გადასახდელი თანხის, დეპოზიტის ვადის გასვლის, პლასტიკური ბარათით ოპერაციის ჩატარების თაობაზე, ასევე გაწვდით ინფორმაციას თქვენს მიმდინარე ანგარიშზე ნაშთის შესახებ და სხვ. SMS ბანკი მუშაობს ნებისმიერი მოდელის მობილურ ტელეფონზე. ასე რომ, ამ მომსახურების წყალობით მუდმივად ინფორმირებული ხართ.

დისტანციური მომსახურების უპირატესობა ისაა, რომ ის ზოგავს დროს და საშუალებას გაძლევთ, საჭირო ოპერაციები ბანკში მისვლის გარეშე შეასრულოთ. დისტანციური მომსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი არის **მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება.** უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ინფორმაცია საიმედოდაა დაცული პაროლებით და უსაფრთხოების კოდებით და თქვენი ინტერნეტ ბანკის გვერდი დაცულია თაღლითებისგან. თუკი თქვენ თვლით, რომ ინტერნეტ და მობაილ ბანკი თქვენთვის მოსახერხებელი არ არის, გსურთ ნაღდი ფულით განახორციელოთ გადახდები და ამასთანავე დიდი დრო გეხარჯებათ ფინანსურ ორგანიზაციაში რიგში დგომით, შეგიძლიათ ისარგებლოთ **სწრაფი გადახდის აპარატებით.** ისინი განთავსებულია როგორც საფინანსო დაწესებულების შენობაში, ასევე მის გარეთ (მაგ.: თქვენს სახლთან ან სამსახურთან ახლოს).

აღნიშნული მომსახურება საშუალებას გაძლევთ გადაიხადოთ კომუნალური გადასახადები, შეიტანოთ თანხა თქვენს ან მესამე პირის ანგარიშზე, დაფაროთ სესხი და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერ ზემოაღნიშნულ საფინანსო პროდუქტს შესაძლებელია გააჩნდეს მომსახურების ან სარგებლობის საკომისიო, თანხა, რომელსაც თქვენი დროის რესურსის ეკონომიაში (დაზოგვაში) იხდით. აღნიშნულ საკომისიოს ფინანსური ორგანიზაცია ინდივიდუალურად განსაზღვრავს და ის შესაძლებელია იყოს როგორც ერთჯერადი, ასევე მისი გადახდა შესაძლოა მოგიწიოთ გარკვეული პერიოდულობით (მაგ. ყოველთვიურად, ყოველკვარტლურად ან ყოველწლიურად), შესაძლებელია მისი ოდენობა დადგინდეს გაწეული მომსახურების მოცულობის მიხედვითაც (მაგ. გადარიცხული თანხის მიხედვით).

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ხელმოწერამდე კარგად წაიკითხოთ ის და დაუსვათ შეკითხვები სხვადასხვა საკომისიოს შესახებ ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენელს.

საკრედიტო ციკლი

მას შემდეგ, რაც თანხის სასესხებლად შეარჩევთ სასესხო პროდუქტს და სასურველ ფინანსურ ორგანიზაციას, მსესხებელი მიდის მის ერთ-ერთ ფილიალში, ან უკავშირდება მას დისტანციურად და იწყება საკრედიტო ციკლი, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- განაცხადის შეტანა
- ინფორმაციის მოძიება
- კრედიტის დამტკიცება
- კრედიტის აღება
- კრედიტის მონიტორინგი
- კრედიტის გადახდა

განაცხადის შეტანა

ეს არის პროცესი, როდესაც მომხმარებელი აფიქსირებს მოთხოვნას ფინანსური ორგანიზაციიდან გარკვეული ოდენობის თანხის სესხებაზე. კრედიტზე განაცხადის გაკეთება შესაძლებელია, როგორც ფინანსურ ორგანიზაციაში ვიზიტით (მაგ.: შეხვედრის წინასწარ დანიშვნით ან უბრალოდ რიგში ჩადგომით), ასევე ინტერნეტით (ორგანიზაციის ვებ-გვერდზე), ან სატელეფონო ზარის მეშვეობით. განვადების შემთხვევაში, როგორც წესი განაცხადის შევსება შესაძლებელია უშუალოდ სავაჭრო პუნქტში.

განაცხადის შეტანისას, მომხმარებელი ავსებს სპეციალურ ფორმას, საჭირო ინფორმაციის მითითებით (სახელი გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო მონაცემები, შემოსავლის

წყარო, მოთხოვნილი კრედიტის ოდენობა, ვადა და ა.შ.). პირველ ეტაპზე მომხმარებლის მხრიდან საჭიროა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, მომხმარებელი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მას შეიძლება მოსთხოვონ დამატებითი საბუთების და/ან თავდების/უზრუნველყოფის წარდგენა. კრედიტის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, რომ მსესხებელმა არ მოითხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე სჭირდება, რადგან ზედმეტი თანხის დაბრუნება დარიცხულ პროცენტთან ერთად დამატებითი ხარჯია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ **საბოლოოდ მაინც ფინანსური ორგანიზაცია დაადგენს გასაცემი კრედიტის ოდენობას, მსესხებლის შემოსავლების, უზრუნველყოფის ღირებულების და კრედიტის მიზნობრიობიდან გამომდინარე.**

ინფორმაციის მოძიება

მას შემდეგ, რაც ფინანსური ორგანიზაცია მიიღებს მსესხებლის საკრედიტო განაცხადს, ის გადაეცემა პასუხისმგებელ საკრედიტო ოფიცერს, რის შემდეგაც, იგი მოიძიებს გარკვეულ ინფორმაციას მსესხებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც საჭირო იქნება კრედიტის გასაცემად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე ხდება მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება, რაც გულისხმობს, როგორც მისი გადახდისუნარიანობისა და საკრედიტო ისტორიის (ასეთის

არსებობის შემთხვევაში) შემოქმედებს, ასევე მსესხებლის მზაობას გადაიხადოს მოთხოვნილი კრედიტი. გარდა ამისა, აღნიშნული პროცესის ფარგლებში ფინანსური ორგანიზაციის თანამშრომელი (საკრედიტო ოფიცერი) შეიძლება ეწვიოს კიდევ მსესხებელს საცხოვრებელ ან/და სამუშაო ადგილას, ან დარეკოს მის მიერ მითითებულ ნომერზე, რათა დარწმუნდეს, რომ მომხმარებელმა ბუსტი ინფორმაცია დააფიქსირა საცხოვრებელ ან/და სამუშაო ადგილთან დაკავშირებით. მომხმარებელს, ფინანსური ორგანიზაციისთვის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, პირადი ან ოჯახის ბიუჯეტის გეგმის (შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა) წარდგენა კარგ სამსახურს გაუწევს, რადგან ის აჩვენებს, რომ მსესხებელს მკაფიო წარმოდგენა აქვს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ყურადღება! არასაკმარისი ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება საბოლოოდ მაინც გამოვლინდება, რაც მსესხებლისთვის, მის საკრედიტო განაცხადზე უარის თქმის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს, როგორც ახლა, ისე მომავალშიც. უფრო მეტიც, არასწორი ინფორმაციის საფუძველზე ფინანსურმა ორგანიზაციამ, მსესხებელს შეიძლება მისთვის შეუსაბამო მოცულობის სესხი დაუმტკიცოს და განუსაზღვროს არახელსაყრელი დაფარვის ვადები ან სხვა რაიმე პირობები. ყოველივე ამან კი,

შეიძლება მას სერიოზული ფინანსური პრობლემები შეუქმნას (მათ შორის, ვეღარ შეძლოს სესხის გადახდა). ამიტომ, ინფორმაციის მიწოდებისას მსესხებელი უნდა იყოს მაქსიმალურად გულახდილი.

გემოაღნიშნულ პროცესში, ფინანსურმა ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს სხვადასხვა დოკუმენტაცია, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება ფასიანი იყოს:

- ოჯახის სრულწლოვანი წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გარკვეული პერიოდის ფარგლებში რეგულარული შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (საბანკო ამონაწერი, სახელფასო ცნობა, იჯარის კონტრაქტი, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან და ა.შ.), რათა დადასტურდეს მსესხებლის გადახდისუნარიანობა; ასევე შესაძლებელია, **მსესხებლის თანხმობის საფუძველზე**, ფინანსურმა ორგანიზაციამ თვითონ გამოითხოვოს შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაცია მსესხებლის შემოსავლის შესახებ;
- ცალკეულ შემთხვევებში შრომითი ხელშეკრულების ასლი;
- სხვა ფინანსურ ორგანიზაციაში ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, დავალიანების შესახებ ცნობა, სასესხო ამონაწერები და საკრედიტო ხელშეკრულებები;
- თავდების მოთხოვნის შემთხვევაში, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ზოგ შემთხვევაში,

მისი შემოსავლის დამადასტურებელი საბუთიც);

- უძრავი/მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტის შემთხვევაში, აღნიშნული ქონების მესაკუთრის და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები;

დამატებითი ხელსაყრელი დოკუმენტები:

- შესაძენი საქონლის/მომსახურების ან განსახორციელებელი ინვესტიციის შესაბამისი დამადასტურებელი საბუთები (ხარჯთაღრიცხვა, ინვოისი);

- ბიუჯეტის დაანგარიშება, სადაც ნაჩვენებია მსესხებლის შემოსავლები და ხარჯები;

- სხვა შემოსავლების, მაგ., დივიდენდების, საიჯარო ან ბიზნესის შემოსავლების დამადასტურებელი საბუთები.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული დოკუმენტების შეგროვება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს დიდ დროსთან და გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან, ამიტომ უმჯობესია, მსესხებელმა, პირველ რიგში, სრულად გაარკვიოს რა დოკუმენტაციაა საჭირო და შემდეგ დაიწყოს მისი შეგროვება.

კრედიტის დამტკიცება

კრედიტის დამტკიცება, ეს არის ფინანსური ორგანიზაციის გადაწყვეტილება მომხმარებელზე კრედიტის გაცემის შესახებ. ამ ეტაპზე საფინანსო დაწესებულების მხრიდან მნიშვნელოვანია მომხმარებლის კრედიტუნარიანობის ბუსტი შეფასება და

მისთვის სწორი საფინანსო პროდუქტის შეთავაზება. უნდა ვიცოდეთ, რომ მსესხებლის **კრედიტუნარიანობის შეფასებისას** ფინანსური ორგანიზაცია სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად ყურადღებას აქცევს **თანაფარდობას (კოეფიციენტი)** როგორც მსესხებლის ყოველთვიურ შემოსავალსა და მოთხოვნილი კრედიტის ყოველთვიურ შენატანს შორის, ასევე უზრუნველყოფის ღირებულებასა და მოთხოვნილი კრედიტის ოდენობას შორის. არსებობს დადგენილი კოეფიციენტები, რომელთა დაცვა აუცილებელია სესხის დამტკიცებისას. დეტალური ინფორმაცია ასეთი სახის კოეფიციენტების შესახებ ხელმისაწვდომია სებ-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტში სახელწოდებით **„ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“**.

მნიშვნელოვანია მიღებული გადაწყვეტილების მომხმარებლისთვის დეტალურად და გასაგებ ენაზე ახსნა და მისთვის სრული ინფორმაციის მიწოდება. ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან აუცილებლად მისაწოდებელი ინფორმაციის უკეთ გასაცნობად, მომხმარებელს შეუძლია იხილოს საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებლის უფლებების დაცვის გვერდი.

ბმული: www.nbg.gov.ge/cp
მომხმარებლის მხრიდან საჭიროა ყურადღების გამახვილება დამტკიცებული კრედიტის პირობებზე (ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, კრედიტის ვადა და გადახდის გრაფიკი, ფინანსური

ხარჯები, ვადაგადაცილების საკომისიო, უზრუნველყოფა/თავლები და სხვა).

კრედიტის ვადა არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომხმარებელმა უნდა დაფაროს კრედიტი. აღნიშნული რეგულირდება **გადახდის გრაფიკის** მიხედვით (ცხრილით), სადაც მითითებულია მომხმარებლის მხრიდან კრედიტის **ყოველთვიური შენატანები**. სხვადასხვა საფინანსო პროდუქტს გააჩნია განსხვავებული (მინიმალური და მაქსიმალური) ვადა, თუმცა ფინანსური ორგანიზაცია ინდივიდუალურად უდგენს თითოეულ მომხმარებელს კრედიტის ვადებს (მაგ. ზოგიერთი კრედიტი შესაძლებელია ერთიანად, ერთი შენატანით იფარებოდეს). რაც უფრო ხანგრძლივია კრედიტის ვადა, მით ნაკლებია ყოველთვიური შენატანი, რადგან სესხის ძირითადი თანხა ნაწილდება უფრო ხანგრძლივ პერიოდზე. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ გრძელვადიან კრედიტზე დარიცხული საბოლოო საპროცენტო ხარჯიც უფრო მეტია, ვიდრე მოკლევადიანი კრედიტის შემთხვევაში.

კრედიტი შესაძლებელია დამტკიცდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოთხოვნის გარეშე (უგირავნოდ). გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა კრედიტის გასაცემად საჭიროა სხვადასხვა სახის უზრუნველყოფის (გირაო) წარმოდგენა (მაგ.: უძრავ/მოძრავი ქონების, დეპოზიტის/ანაბრის ან სხვა სახით). აღნიშნული გირაო, ფინანსური ორგანიზაციის-

თვის დამატებითი გარანტიაა იმისა, რომ მომხმარებლის მხრიდან კრედიტის არგადახდის შემთხვევაში იგი თანხას დაიბრუნებს აღნიშნული ამ უზრუნველყოფის საშუალებით.

თავლებობა

ზოგ შემთხვევაში კრედიტი შესაძლოა გაიცეს ერთი ან მეტი პირის **თავლებობის** გარანტიით. პირს, რომელიც ამ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს ეწოდება **თავლები**. ფინანსური ორგანიზაციისთვის მესამე პირის თავლებობა გამოიყენება იმ ფინანსური რისკების შესამცირებლად, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას, იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვერ/არ გადაიხდის სესხს. აქედან გამომდინარე, თავლებობა უდიდესი იურიდიული და ფინანსური პასუხისმგებლობაა.

თავლებობა ეს არის იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს თავლების მიერ კრედიტის გადახდას, იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვერ/არ ფარავს კრედიტს. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ორგანიზაციას შეუძლია მოსთხოვოს თავლებს დავალიანების გადახდა. თავლებობის ვალდებულების მოცულობა განსაზღვრულია ფინანსურ ორგანიზაციისა და თავლებს შორის გაფორმებული **თავლებობის ხელშეკრულების** მიხედვით.

არსებობს ორი სახის თავლებობა: **ჩვეულებრივი და სოლიდარული. ჩვეულებრივი თავლებობის** დროს ფინანსურ ორგანიზაციას თავლების-

გან კრედიტის ამოღების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვის შემდეგ.

სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში ფინანსურ ორგანიზაციას შეუძლია პირდაპირ თავდებისგან ამოიღოს კრედიტი. მათ შორის მომხმარებლის მიერ კრედიტის (შენატანის) არ დაფარვის შემთხვევაში თანხა დაფაროს თავდების საბანკო ანგარიშიდან.

საქართველოში, უფრო ხშირად, სოლიდარული თავდებობა გამოიყენება, რაც გულისხმობს იმას, რომ თავდებს აქვს ისეთივე პასუხისმგებლობა კრედიტის დაფარვაზე, როგორც მსესხებელს.

თავდებად დადგომისთვის აუცილებელი ზოგადი მოთხოვნებია:

- თავდების ასაკი უნდა იყოს 18 წელი ან ზემოთ;
- თავდები უნდა იყოს ქმედითუნარიანი და ესმოდეს თავდების პასუხისმგებლობები და ვალდებულებები;
- თავდებად დადგომაზე თანხმობა გაცემული უნდა ჰქონდეს საკუთარი ნებით (იძულების და თაღლითობის გარეშე).

თავდებს აქვს უფლება:

- მიიღოს კრედიტთან დაკავშირებული თავდებობის ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი;
- მიიღოს იურისტის რჩევა ხელშეკრულების ხელმოწერამდე;
- მიიღოს ინფორმაცია კრედიტის ნაშთის შესახებ;

- მოსთხოვოს მსესხებელს დაფაროს კრედიტი თავდებობის ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით;

- მოსთხოვოს მსესხებელს თავდების მიერ გადახდილი თანხების უკან დაბრუნება სასამართლოს გზით.

ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია თავდების, უზრუნველყოფის (იპოთეკა, გირაო) მესაკუთრისთვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართი და მოსთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების ასლი.

ფინანსურმა ორგანიზაციამ სესხის გაცემამდე უნდა მოახდინოს თავდებობის, უზრუნველყოფის (იპოთეკა, გირაო) მესაკუთრისთვის გადახდისუნარიანობის ანალიზი (გარდა გამონაკლისებისა); აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია სებ-ის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში სახელწოდებით „**ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება**“.

მსესხებლის მიერ კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მსესხებელს და თავდებს დაუყოვნებლივ, უკიდურეს შემთხვევაში არაუგვიანეს **ხუთი სამუშაო დღისა**. ამასთან, ფინანსური ორგანიზაცია არ აგებს პასუხს ვალდებულების დარღვევისათვის, თუ დაკავშირება/ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით

(მაგ.: შეცვლილია საკონტაქტო ინფორმაცია).

ყურადღება! თავდები, ხელშეკრულების ხელმოწერამდე, დეტალურად უნდა გაეცნოს ხელშეკრულების პირობებს. გარდა ფინანსური და იურიდიული პასუხისმგებლობისა, თავდებს უნდა ესმოდეს, რომ თუკი ის პიროვნება, ვისი თავდებიც ის იქნება, არ ან ვერ გადაიხდის საკუთარ სესხს, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს მასზეც (თავდებზე), როგორც ფინანსური ორგანიზაციის მომავალ კლიენტზე.

ხშირ შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ინფორმაციის საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროსთვის (კრედიტინფო) გადაცემას.

მომხმარებელზე სესხის დამტკიცების პროცესის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია მისი საკრედიტო ისტორიის შემოწმება საკრედიტო ბიუროში.

საკრედიტო ბიურო წარმოადგენს საინფორმაციო ბაზას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იურიდიული და ფიზიკური პირების ფინანსური ვალდებულებების შესახებ. ასეთი ბიურო საქართველოშიც არსებობს – ეს არის სს „კრედიტინფო საქართველო“, რომელსაც ინფორმაციას, თავიანთი მსესხებულების შესახებ, აწვდის საქართველოში არსებული ფინანსური ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი. აღნიშნული მონაცემთა ბაზა ეხმარება ფინანსური ორგანიზაციებს (ბანკი,

მისო და სხვა) ადვილად მოიპოვონ ინფორმაცია ამა თუ იმ მსესხებლის, თანამსესხებლის თუ თავდების საკრედიტო ისტორიის შესახებ. გარდა ამისა, „კრედიტინფო“-ს საშუალებით ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია ინდივიდუალურად მოიძიოს ინფორმაცია **მხოლოდ საკუთარი** ფინანსური ვალდებულებების შესახებ. ამისათვის საჭიროა დარეგისტრირდეს და გაიაროს შესაბამისი ავტორიზაცია კრედიტინფოს ბაზაში. აღნიშნული მომსახურება ფასიანია.

„კრედიტინფო საქართველო“-ს ბაზაში, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და დაფარული კრედიტების შესახებ განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- გაცემული თანხის მოცულობა;
- ვალუტა;
- მიმდინარე ძირითადი თანხის მოცულობა;
- ყოველთვიური შენატანის ოდენობა;
- კრედიტის ვადა;
- დარიცხული ჯარიმის ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თავდები/თანამსესხებელი.

როდესაც მომხმარებელს ბაზაში მუდმივად პოზიტიური ჩანაწერი აქვს (დაგვიანების გარეშე დაფარვა, ჯარიმების არ არსებობა), აღნიშნული ინფორმაცია თავს იყრის და ინახება ე.წ. პოზიტიურ ბაზაში და ეს დადებითად მოქმედებს მისთვის ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან ახალი კრედიტის გაცემაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს

აღნიშნება ვადაგადაცილებული ან/და გადაუხდელი სესხები, ისინი აღირიცხებიან „კრედიტინფო“-ს ე.წ. ნეგატიურ ბაზაში. ეს არის ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, სადაც მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციებიდან, როგორცაა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ონლაინ სესხების კომპანიები, მათი კლიენტების (ფიზიკური და იურიდიული პირები) გადაუხდელი ვალების/დავალიანებების შესახებ. აღნიშნული მონაცემთა ბაზა საშუალებას აძლევს ფინანსურ ორგანიზაციას შეაფასოს მისთვის საინტერესო სუბიექტის საკრედიტო ისტორია, გადახდების კეთილსინდისიერება. ფინანსური ორგანიზაცია მიიღებს საჭირო ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება უსაფრთხო და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ფინანსური ორგანიზაციებიდან საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს (კრედიტინფო) ნეგატიურ ბაზაში მომხმარებლებზე ინფორმაცია ხვდება სესხზე ვადაგადაცილების შემთხვევაში. **ამიტომ, აუცილებელია, მსესხებელმა დროულად შეიტანოს აიცილოს კრედიტინფოს ნეგატიურ ბაზაში მოხვედრა.**

„კრედიტინფო საქართველო“-ს ბაზაში (როგორც პოზიტიურში ასევე ნეგატიურში) ინფორმაცია კლიენტის შესახებ, სესხის დაფარვის შემდეგ, ინახება რამდენიმე წლის განმავლობაში. თუკი ნეგატიური სტატუსის მქონე კრედიტი არ დაიფარება, აღნიშნული ინფორმაცია დარჩება

სამუდამოდ. თუ მომხმარებელი დაფარავს ასეთ კრედიტს, ეს ინფორმაცია აისახება ბაზაში.

კრედიტის აღება ეს არის პროცესი, როდესაც დათქმულ დროს მომხმარებელი მიაკითხავს ფინანსურ ორგანიზაციას ხელშეკრულების გასაფორმებლად. ასევე, შესაძლებელია ხელშეკრულების გაფორმება დისტანციურად (ფინანსურ ორგანიზაციაში მისვლის გარეშე). ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მომხმარებელი აცხადებს, რომ ეთანხმება ხელშეკრულებაში მოცემულ პირობებს. ამიტომ, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ ხელშეკრულების ყველა პირობა მისთვის გასაგები და მისაღებია. ხოლო, თუ რომელიმე მუხლს არ ეთანხმება, ეს საკითხი განხილული უნდა იყოს ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

როგორც გემოთ ავღნიშნეთ, კრედიტი შესაძლოა გაიცეს ერთი ან მეტი პირის თავდებობით. ასეთ დროს ფორმდება მესამე პირის თავდებობის ხელშეკრულება. ასევე, არსებობს სესხები უზრუნველყოფის მოთხოვნის გარეშე (უგირავნო). გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც კრედიტის გასაცემად საჭიროა უზრუნველყოფის წარმოდგენა უძრავ/მოძრავი ან სხვა მატერიალური ქონების სახით. ამ შემთხვევაში ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის ფორმდება უზრუნველყოფის (გირავნობა ან იპოთეკა) ხელშეკრულება.

ყველა უზრუნველყოფის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

- მსესხებლისა და ქონების მესაკუთრის პირად ინფორმაციას;
- საკუთრების უფლება უზრუნველყოფაზე;
- უზრუნველყოფის აღწერილობა და ადგილმდებარეობა;
- უზრუნველყოფის ღირებულება;
- სპეციალური მოთხოვნები, მაგ., დაზღვევა, მონიტორინგი;
- დავიანებით დაფარვის ან არდაფარვის შემთხვევაში დავის გადაწყვეტის გზები.

გემოაღნიშნული ხელშეკრულებების პირობების გაცნობისას მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს მასში მოცემული დავების გადაჭრის მექანიზმებს და რა ბედი ეწევა უზრუნველყოფაში ჩადებულ ქონებას, ვადაც გადაცილების შემთხვევაში.

მომხმარებელს უნდა ესმოდეს, თუ რა განსხვავებაა დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმს შორის და ისეთი მექანიზმი უნდა შეარჩიოს, რომელიც თავისი უფლებების სრულად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. ბანკსა და მომხმარებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი დავა შესაძლოა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი **საარბიტრაჟო ან სასამართლო** წარმოების გზით. სასამართლოსგან განსხვავებით, არბიტრაჟი დავის გადაჭრის კერძო მექანიზმია, რომელიც ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა

იყოს მითითებული, თუკი მხარეებს დავის გადაჭრა ამ გზით სურთ. მნიშვნელოვანია, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და ექვემდებარება აღსრულებას. **თუ ხელშეკრულებაში „დავის გადაწყვეტის მექანიზმი“ მითითებული არ არის, მაშინ კანონით დავა განიხილება და გადაწყდება სასამართლოში.** უმჯობესია, თუ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე მსესხებელს ეცოდინება ის, თუ რას გულისხმობს დავის გადაჭრის ორივე მექანიზმი და თუ ის უპირატესობას სასამართლო წარმოებას ანიჭებს, სთხოვოს ფინანსური ორგანიზაციის თანამშრომელს, რომ ხელშეკრულებაში მხოლოდ სასამართლო იყოს მითითებული.

კრედიტის მონიტორინგი - მსესხებელსა და ფინანსურ ორგანიზაციას შორის ურთიერთობა არ სრულდება კრედიტის თანხის მიღებისას. საკრედიტო ოფიცერმა შეიძლება დაურევოს ან ეწვიოს მას იმისათვის, რომ ურთიერთობა არ გაწყდეს და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ფინანსურ ორგანიზაციას სურს ჰქონდეს მიმდინარე ინფორმაცია მსესხებლის საქმიანობის შესახებ. სატელეფონო ზარების განხორციელება ან/და ადგილზე მონახულება კრედიტის მონიტორინგის გავრცელებული ფორმებია, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო უნდობლობასთან ისინი საკრედიტო ოფიცრის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

კრედიტის გადახდა - ეს არის პროცესი, როდესაც მსესხებელი იწყებს

აღებული კრედიტის დაფარვას. კრედიტის თანხის დაბრუნება შესაძლებელია მოხდეს ერთდროულად, ეტაპობრივად ან რაიმე სხვა პერიოდულობით. ყოველივე ეს რეგულირდება მსესხებელსა და ფინანსურ ორგანიზაციას შორის შეთანხმებული **გადახდის გრაფიკის** საფუძველზე

ინფორმაციას იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა დროულად (გრაფიკის მიხედვით) თანხის შეტანა, თუ მოხდა **ვადაგადაცილება**. ყოველი დღე, რომლითაც მსესხებელი დაავიანებს შენატანის განხორციელებას, მისთვის არა მარტო დამატებითი ფინანსური ხარჯია, არამედ იმ კარგ რეპუტა-

თვე	შენატანი	კაპიტალი	პროცენტი	ნაშთი
1	87.92	79.58	8.33	920.42
2	87.92	80.25	7.67	840.17
3	87.92	80.91	7	759.26
4	87.92	81.59	6.33	677.67
5	87.92	82.27	5.65	595.4
6	87.92	82.95	4.96	512.45
7	87.92	83.65	4.27	428.8
8	87.92	84.34	3.57	344.46
9	87.92	85.05	2.87	259.41
10	87.92	85.75	2.16	173.66
11	87.92	86.47	1.45	87.19
12	87.92	87.19	0.73	0

გადახდის გრაფიკი, ეს არის სასესხო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი და მისი დაცვა აუცილებელია. ამ გვერდზე მოცემულია გადახდის გრაფიკის მარტივი ნიმუში (სესხის თანხა - 1000, ვადა - 12 თვე, საპროცენტო განაკვეთი - წლიური 10%):

- **თვე** - გადახდის თვეების რიგითობა;
- **შენატანი** - ყოველთვიური შენატანი;
- **კაპიტალი** - ყოველთვიურ შენატანში ძირითადი თანხის ოდენობა;
- **პროცენტი** - ყოველთვიურ შენატანში დარიცხული პროცენტის ოდენობა;
- **ნაშთი** - ყოველი გადახდის შემდეგ დარჩენილი სესხის ძირითადი თანხის ოდენობა.


ყოველი შენატანის გადახდა ქრონოლოგიურად ქმნის ერთგვარ **საკრედიტო ისტორიას**, რომელიც მოიცავს

ციასაც ულახავს, რომელიც კრედიტის მიღებისას ჰქონდა. ვადაგადაცილებული დღეების არსებობა მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში სავარაუდოდ გაართულებს ან გააძვირებს კრედიტის განახლებას ან საერთოდ შეუძლებელს გახდის ახალი კრედიტის მიღებას.

რა თქმა უნდა, გარკვეულ ეტაპზე ყველას შეიძლება შეექმნას გაუთვალისწინებელი ფინანსური პრობლემები. მნიშვნელოვანია მომხმარებელს ესმოდეს, რომ პრობლემის უბრალოდ იგნორირებით იგი არ მოგვარდება, პირიქით, ის უფრო რთული და სერიოზული გახდება. ასეთ შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს ფინანსური ორგანიზაციის თანამშრომელს (საკრედიტო ოფიცერს) - **დრო არსე-**

ბითად მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი, საგარაუდო პრობლემასთან დაკავშირებით წინასწარ დაიჭერს თადარიგს, არ დაელოდება მის გადრმავებას და დროულად ჩააყენებს საქმის კურსში თავის საკრედიტო ოფიცერს, ფინანსური ორგანიზაცია უფრო მეტად წამოვა კომპრომისზე. ასევე, მეტია შანსი იმისა, რომ ფინანსური ორგანიზაცია დაეხმაროს პრობლემის მოგვარებაში კრედიტის **რესტრუქტურისაციის** საშუალებით, რაც საკრედიტო ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების (მაგ.: შენატანის შემცირება/გადავადება) მომხმარებლის სასარგებლოდ ცვლილებას გულისხმობს. ამიტომ, როგორც დასაწყისში ვახსენეთ, აუცილებელია არსებობდეს ნდობა და ურთიერთანამშრომლობა მომხმარებელსა და საფინანსო დაწესებულების წარმომადგენელს შორის.

ფინანსურ ორგანიზაციას უფრო მეტი მზაობა ექნება გვერდში დაუდგეს იმ მომხმარებელს, რომელიც დროულად, პრობლემის წარმოშობისთანავე ითხოვს დახმარებას. იმ მომხმარებლის მიმართ, რომელიც არ იცავს დაფარვის ვადებს, გაურბის ფინანსურ ორგანიზაციასთან ურთიერთობას, მალავს ინფორმაციას, მიზანმიმართულად ქმნის დამატებით ხარჯებსა და პრობლემებს, აღნიშნული ორგანიზაცია ვერ იქნება კეთილგანწყობილი და გაუჭირდება მისი მიმდინარე პრობლემების მოგვარება.



მნიშვნელოვანია ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე ფინანსურმა ორგანიზაციამ მომხმარებელს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესახებ. აღნიშნული პროცედურა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის **2017 წლის 1 ივნისის წესის მიხედვით „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის“ შესახებ.**

ეს წესი ვრცელდება ყველა სახის კრედიტის, მათ შორის, განვადების, ოვერდრაფტის და საკრედიტო ბარათის გაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე, რომელთა მთლიანი თანხა აღემატება 300 (სამასი) ლარს და ნაკლებია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში), ასევე, ყველა სახის სადეპოზიტო ხელშეკრულებებზე, რომელთა პირველადი შენატანი ნაკლებია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში). აღნიშნული წესის მიხედვით ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საფინანსო პროდუქტისა თუ მომსახურების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი სრული ინფორმაციის დროული მიწოდება, რომელიც მომხმარებელს არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა ამ ინფორმაციის ფლობის პირობებში.

როგორც წესი, ფინანსურ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ძირითად შემთხვევაში საკმაოდ ვრცელი და მოცულობითია. იგი მოიცავს უამრავ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც განთავსებულია მის სხვადასხვა ნაწილში. აღნიშნული კირიგითი მომხმარებლისთვის ართულებს მის წაკითხვას, საჭირო და საყურადღებო ინფორმაციის მიღებას. ამიტომ, ზემოაღნიშნული წესი ავალდებულებს ყველა ფინანსურ ორგანიზაციას, მათ მიერ (აღნიშნული თანხობრივი ლიმიტის ფარგლებში) გაფორმებულ საკრედიტო და სადეპოზიტო ხელშეკრულებებს ჰქონდეს თავსართი - **ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები.** ეს არის ხელშეკრულების საწყისი გვერდი, სადაც მოკლედ და გასაგებ ენაზე უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების შესახებ.

ფინანსურმა ორგანიზაციამ მომხმარებელს წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა განუმარტოს ხელშეკრულების თავსართში არსებული ინფორმაცია. მიუხედავად მოწოდებული ინფორმაციისა, მომხმარებელს აქვს უფლება დეტალების დაზუსტების მიზნით, დასვას დამატებითი კითხვები და მიიღოს ამომწურავი პასუხები.

ხელშეკრულების თავსართი ძირითადად მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- კრედიტის/დეპოზიტის საპროცენტო

განაკვეთი (ნომინალური და ეფექტური);

- ფინანსური ხარჯები;
- კრედიტის/დეპოზიტის თანხის ოდენობა და ვალუტა;
- კრედიტის/დეპოზიტის ვადა;
- შესაძლო საკომისიოები და ჯარიმები;
- ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად ცვლილების უფლება;
- ინფორმაცია სავალუტო რისკის შესახებ;
- გამჟღავნების ტექსტი (კომერციული ბანკის გარდა);
- მომხმარებლის მიერ პრეტენზიის წარდგენის უფლება და ფორმები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის ცხელი ხაზი +995 322 406 406

საპროცენტო განაკვეთი

კრედიტით სარგებლობისათვის ერთ-ერთი ძირითადი ხარჯი, ხოლო დეპოზიტის გასხნის შემთხვევაში ძირითადი სარგებელი არის დარიცხული **საპროცენტო განაკვეთი**. მას სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაცია სხვადასხვაგვარად ადგენს თავისი რესურსების, ხარჯების და ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე. სხვადასხვა საფინანსო პროდუქტებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის ერთმანეთთან შედარება ადვილი არაა, რადგან საბოლოო ხარჯი თუ სარგებელი, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კონკრეტული საფინანსო პროდუქტის პირობებზე. არსებობს **ნომინალური** და **ეფექტური** საპროცენტო განაკვეთი.

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, ეს არის კრედიტზე (ძირითად თანხაზე) ან დეპოზიტზე გარკვეულ პერიოდში დარიცხული თანხა. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არის მხოლოდ წლიური, ხოლო პროცენტის დარიცხვა შეიძლება მოხდეს წლიურად, ყოველთვიურად ან დღიურად. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია იყოს ფიქსირებული ან ცვლადი.

• **ფიქსირებული** – უცვლელია კრედიტის მთელი ვადის განმავლობაში, შესაბამისად კრედიტზე შენატანაც უცვლელი რჩება;

• **ცვლადი** – შესაძლოა დამოკიდებული იყოს რომელიმე სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზე (მაგ.: ლარში გაცემული სესხის პროცენტი დაკავშირებულია **სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე**) და აღნიშნული მაჩვენებლის ცვლილება იწვევდეს საპროცენტო განაკვეთის შეცვლას, რაც ასევე ცვლის კრედიტზე შენატანს. **ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს თავსართის საშუალებით, მიაწოდოს ინფორმაცია კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის ზრდის რისკის შესახებ, რაც შემდგომ გამოიწვევს გადასახდელი თანხის (შენატანის) ზრდას, როცა კრედიტი გაიცემა ცვლადი საპროცენტო განაკვეთით.**

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არ იძლევა სრულ ინფორმაციას იმაზე, თუ რეალურად რა დაუჯდება მომხმარებელს ესა თუ ის საფინანსო პროდუქტი, რადგან გარდა დარიცხული

საპროცენტო განაკვეთისა, საფინანსო პროდუქტს შესაძლებელია ჰქონდეს სხვა ხარჯებიც. საპროცენტო განაკვეთის იმ მნიშვნელობას, რომელიც ასეთი სახის სრულ ინფორმაციას იძლევა **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (ესგ)** ეწოდება.

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ ფინანსურ ხარჯს და ამ ხარჯების გაწევის პერიოდს.

დებოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია მიღებული და მისაღები სარგებელი, ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი (არსებობისას), აღნიშნული ხარჯების გაწევის და სარგებლის მიღების პერიოდი.

ყურადღება! აუცილებელია ესგ-ს მითითება ყველა სახის საკრედიტო ხელშეკრულებებზე, რომელთა მთლიანი თანხა აღემატება 300 000 (სამასი) ლარს და ნაკლებია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში), ასევე, ყველა სახის სადებოზიტო ხელშეკრულებებზე, რომელთა პირველადი შენატანი ნაკლებია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში).

აღნიშნული დაეხმარება მომხმარებელს, სასურველი საფინანსო პროდუქტის შერჩევისას მიიღოს უტყუარი ინფორმაცია პროდუქტის რეალური ღირებულების შესახებ,

რათა გააკეთოს სწორი არჩევანი. მომხმარებელმა, საფინანსო პროდუქტი ან მომსახურება არ უნდა აარჩიოს მხოლოდ ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მაგალითისთვის, თუკი A ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მას კრედიტზე სთავაზობს უფრო ნაკლებ ნომინალური საპროცენტო განაკვეთს, ვიდრე B, მაგრამ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (ყველა ფინანსური ხარჯის გათვალისწინებით) A-ს შემთხვევაში იყოს უფრო მაღალია ვიდრე B-ში, ეს ნიშნავს, რომ კრედიტი ამ უკანასკნელში (B) უფრო იაფი ჯდება. **გადაწყვეტილების მიღებისას მომხმარებელმა ერთმანეთს უნდა შეადაროს შემთავაზებული პროდუქტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რადგან ეს არის ამ პროდუქტების რეალური ღირებულება.**

ფინანსური ხარჯი

საფინანსო პროდუქტით სარგებლობისას მომხმარებლის ამოცანაა იმ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხარჯების გარკვევა, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს აღნიშნული პროდუქტის მიღების, შენარჩუნების და სარგებლობის დასრულების პროცესში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ ხარჯებს **ფინანსური ხარჯები** ეწოდება. ეს ხარჯებია:

- ყოველთვიური შენატანები;
- კრედიტის გაცემის საკომისიო;
- კრედიტის ნაღდი ფულით გატანის ან

თანხის გადარიცხვის საკომისიო;

- დაზღვევის ხარჯები;
- უზრუნველყოფაზე იპოთეკა/გირავნობის რეგისტრაციის ხარჯი;
- სხვაობა სახელშეკრულებო და ნაღდი ანგარიშსწორების ფასს შორის (განვადება);
- სხვა ხარჯი.

ყოველთვიური შენატანი არის თანხა, რომელიც გადახდის გრაფიკის მიხედვით, თვის კონკრეტულ რიცხვში შეაქვს მომხმარებელს ფინანსურ ორგანიზაციაში კრედიტის დასაფარად. შესაძლებელია ის სარგებლობდეს ისეთი გადახდის გრაფიკით, რომლის მიხედვითაც ყოველთვიურად თანაბარი შენატანებით, ერთდროულად ფარავდეს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს. ასეთ შემთხვევაში ყოველთვიური შენატანი შესაბამისად შედგება სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტისგან. ასევე, შესაძლებელია მომხმარებელს, სხვადასხვა თვეში ჰქონდეს განსხვავებული ოდენობის შენატანიც, ან სულაც ყოველთვიურად იხდიდეს მხოლოდ დარიცხულ პროცენტს და ძირითად თანხას აბრუნებდეს სესხის ვადის ბოლოს. **ყოველივე ეს, როგორც წესი წინასწარ თანხმდება ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის.**

კრედიტის გაცემის საკომისიო ის თანხაა, რომელსაც მსესხებელი იხდის კრედიტის მიღებისთვის. ამ საკომისიოს ის იხდის მხოლოდ ერთხელ და მისი ოდენობა დამოკიდებულია კრედიტის თანხის ოდენობაზე. გა-

ცემის საკომისიო გამოაკლდება კრედიტის საწყის თანხას, კრედიტის გამოტანისას. მაგალითად: თუ აღნიშნული საკომისიო 2%-ია და გასაცემი კრედიტის თანხა 1000 ლარია, გაცემის შემდეგ მსესხებელი ხელზე მიიღებს მხოლოდ 980 ლარს, მაგრამ, რა თქმა უნდა, დასაფარი (უკან დასაბრუნებელი) თანხა ექნება კრედიტის მთლიანი თანხა (1000 ლარი) მასზე დარიცხულ საპროცენტო განაკვეთთან ერთად.

კრედიტის ნაღდი ფულით გატანის ან თანხის გადარიცხვის საკომისიო

- ეს ის ხარჯია, რომელსაც მომხმარებელი იხდის იმ თანხის ნაწილზე, რომლის გატანას (მოლარე-თქერატორის ან ბანკომატის საშუალებით) ან გადარიცხვას აპირებს (ასეთი საკომისიოს არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული საკომისიო ყველა ფინანსურ ორგანიზაციას ინდივიდუალურად აქვს დაწესებული და ისიც, ასევე, აკლდება კრედიტის თანხას.

საფინანსო პროდუქტით სარგებლობისათვის ფინანსურმა ორგანიზაციამ შესაძლოა მომხმარებელს მოსთხოვოს მისი **სიცოცხლის დაზღვევა.**

გარდა ამისა, შესაძლებელია მას მოუწიოს კრედიტის უზრუნველსაყოფად ფინანსურ ორგანიზაციაში იპოთეკით/გირავნობით დატვირთული **ქონების (უძრავი ქონება/ავტომანქანა) დაზღვევა.** დაზღვევის გადასახადს იხდის მომხმარებელი. იგი შესაძლებელია გადახდილი იქნას როგორც ერთიანად, წინასწარ, ასევე ყოველთვიურად, და დაზღვევის გადასახადი შეადგენდეს კრედიტზე

შენატანის ნაწილს.

უზრუნველყოფაზე იპოთეკის/გირავნობის რეგისტრაციის ხარჯი - ეს არის უზრუნველყოფის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯი. ზოგიერთმა ფინანსურმა ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს უზრუნველყოფის ხელშეკრულების **სანოტარო წესით** დამოწმება, რომლის ხარჯიც მსესხებლის ხარჯებს დაემატება. აღნიშნული ხარჯი გამოითვლება იმის მიხედვით თუ რა შინაარსის ხელშეკრულებას ამოწმებს მომხმარებელი ნოტარიულად. ამიტომ, სასურველია მან წინასწარ გაარკვიოს, აუცილებელია თუ არა უზრუნველყოფის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება.

განვადებით სარგებლობის შემთხვევაში, შეიძლება იყოს სხვაობა საქონელი/მომსახურების ე.წ. გასაყიდ ფასსა და საკრედიტო ხელშეკრულებაში ჩაწერილ ფასს შორის - ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელი, სასურველი ნივთის საკუთარი ფულით შეძენისას სხვა თანხას იხდის, ხოლო განვადებით შეძენისას - სხვას. ეს **განსხვავება** წარმოადგენს მსესხებლის ფინანსურ ხარჯს (საპროცენტო განაკვეთი, სხვადასხვა საკომისიო და სხვა), რაც გათვალისწინებულია ესგ-ს დაანგარიშებისას და უნდა მიეთითოს ხელშეკრულების თავსართში.

კრედიტის გაცემისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს **სხვა ხარჯებსაც**, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ფინანსურ ხარჯებს. მაგალითად, თუკი კრედიტით სარგებლობისათვის მომსახურე ფინანსურ ორგანიზაციას,

მომხმარებელმა უნდა წარმოუდგინოს ცნობა დავალიანების შესახებ სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან, ცნობის ღირებულება არის ფინანსური ხარჯი და გათვალისწინებული იქნება ესგ-ს გამოთვლისას.

ყურადღება! ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე, თავსართის საშუალებით, მომხმარებელს გააცნოს ფინანსური ხარჯები და მხოლოდ თანხმობის შემდეგ გააფორმოს მასთან ხელშეკრულება.


გემოაღნიშნული ხარჯები პირდაპირ არის დაკავშირებული საფინანსო პროდუქტის მიღებასთან, თუმცა არსებობს სხვა, არაპირდაპირი ხარჯი, რომელიც გაიწევა ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ისარგებლებდა თუ არა მომხმარებელი საფინანსო პროდუქტით. ასეთი ხარჯები არ შედის კრედიტის ფინანსურ ხარჯებში (მაგ.: პირადობის მოწმობის საფასური, ინდ. მეწარმის მოწმობა და სხვა), შესაბამისად ეს ხარჯები არ გამოიყენება პროდუქტზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლისას. **საფინანსო პროდუქტის თანხის ოდენობა და ვადა** - ხელშეკრულების თავსართში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული **საფინანსო პროდუქტის თანხის ოდენობა** (კრედიტის მთლიანი თანხა ან დეპოზიტის ერთჯერადი შენატანი) და ვადა, დროის ინტერვალი, რომლის განმავლობაშიც მომხმარებელი ისარგებლებს აღნიშნული საფინანსო პროდუქტით.

შესაძლო საკომისიოები და ჯარიმები – საფინანსო პროდუქტით სარგებლობის პერიოდში, მომხმარებელს შესაძლებელია ჰქონდეს ისეთი დამატებითი საკომისიოები ან ჯარიმები, როგორებიცაა:

- საკომისიო კრედიტის ვადამდე/წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში;
- ვადაზე ადრე გამოტანილ დეპოზიტზე მისაღები/დარიცხული წლიური პროცენტი;
- ჯარიმა კრედიტის დაგვიანებით დაფარვაზე;
- სახელშეკრულებო პირობების (ვადა, საპროცენტო განაკვეთი, უბრუნველყოფა) ცვლილების საკომისიო.

საკომისიო კრედიტის ვადამდე/წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში – მომხმარებელს აქვს უფლება კრედიტი წინასწარ, ვადის დასრულებამდე დაფაროს. ამასთან, ფინანსურ ორგანიზაციას აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საკომისიო წინსწრებით დაფარვისთვის**, რაც მისთვის მომხმარებლისგან მიუღებელი შემოსავლის კომპენსაციას წარმოადგენს. როცა მსესხებელი კრედიტს წინსწრებით ფარავს, ფინანსურ ორგანიზაციას აკლდება შემოსავალი, რომელსაც ის კლიენტისგან კრედიტზე დარიცხული პროცენტის სახით მიიღებდა. წინსწრებით დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დაფარვის დღეს და მისი ოდენობა სებ-ის 2017 წლის 1 ივნისის რეგულაციის საფუძველზე („ფინანსური ორგანიზაციების

მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“) განისაზღვრება დაფარვის მომენტისთვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის მიხედვით.



6 თვემდე	0%
6-დან 12 თვემდე	0.5%
12-დან 24 თვემდე	1%
24 თვეზე მეტი	2%

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული რეგულაციის საფუძველზე, ფინანსურ ორგანიზაციას **არ აქვს უფლება** მოსთხოვოს მომხმარებელს წინსწრებით დაფარვის საკომისიო, იმ შემთხვევაში თუ:

- კრედიტის რეფინანსირება ხდება იმავე ფინანსურ ორგანიზაციაში;
- კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ფინანსური ორგანიზაციის მოთხოვნით;
- კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე მომხმარებლის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით.

კრედიტის წინსწრებით **სრულად დაფარვის** გარდა, მომხმარებელს ასევე შეუძლია მოახდინოს მისი ნაწილობრივი დაფარვაც, ანუ გარდა აუცილებელი ყოველთვიური შენატანებისა, დამატებით, სურვილის და შესაძლებლობების მიხედვით შეიტანოს გარკვეული თანხა და ამით კიდევ უფრო მეტად შეამციროს კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხა. ამასთან, თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის 20%, არანაკლებ

500 ლარის ოდენობით, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებლის სურვილის საფუძველზე მას შეუცვალოს გადახდის გრაფიკი ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან ერთ-ერთით, კერძოდ:

- **შეუმციროს ყოველთვიური შენატანი** - კრედიტზე დარჩენილი ძირითადი თანხა გადაუნაწილოს იმავე ვადაზე;
 - **შეუმციროს კრედიტის დარჩენილი ვადა** - თუკი შენატანი დარჩება იგივე/უცვლელი, კრედიტზე დარჩენილი ძირითადი თანხა უფრო ნაკლებ ვადაზე გადანაწილდება.
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო და მისი პირობები ასახული უნდა იყოს საკრედიტო ხელშეკრულების თავსართში.

ყურადღება! თუ მომხმარებელმა მიმართა ფინანსურ ორგანიზაციას კრედიტის წინსწრებით დაფარვის მოთხოვნით და შეიტანა საჭირო თანხა თავის საბანკო ანგარიშზე, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია კრედიტის დაფარვა განახორციელოს იმავე დღეს. ხოლო თუ ეს პროცესი ტექნიკურად ან სხვა მიზეზით საჭიროებს დამატებით

პერიოდს, აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში არ უნდა მოხდეს კრედიტზე პროცენტის დარიცხვა.

ვადაზე ადრე გამოტანილ დეპოზიტზე მისაღები/დარიცხული წლიური პროცენტი - ვადიანი/ზრდადი დეპოზიტის დარღვევის და თანხის ვადამდე გატანის შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაცია მომხმარებელს არ გადაუხდის დეპოზიტის სტანდარტულ საპროცენტო სარგებელს. ამ შემთხვევაში, დეპოზიტზე სარგებელი იქნება ხელშეკრულებაში მითითებული მინიმალური საპროცენტო განაკვეთი. აღნიშნულ საპროცენტო განაკვეთს **ვადაზე ადრე გამოტანილ დეპოზიტზე დარიცხული წლიური პროცენტი** ეწოდება.

ჯარიმა კრედიტის დაგვიანებით დაფარვაზე - თუ მომხმარებელი დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებს გადააცილებს, ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია დააკისროს მას **ჯარიმა კრედიტის დაგვიანებით დაფარვაზე**. ჯარიმა კრედიტის დაგვიანებით დაფარვაზე ანუ ვადაგადაცილების ჯარიმა - ეს არის თანხა, რომელსაც ფინანსური ორგანიზაცია მომხმარებელს აკისრებს ხელშეკრულების პირობის დარღვევაზე (შენატანის დაგვიანებაზე). ვადაგადაცილების ჯარიმა სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციაში შეიძლება განსხვავებული იყოს. კერძოდ, შეიძლება იყოს ფიქსირებული თანხა ან ვადაგადაცილებულ თანხაზე (შენატანზე) ყოველდღიურად დარიცხული პროცენტი. აღნიშნული საკითხი

მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული საკრედიტო ხელშეკრულებაში.

სახელშეკრულებო პირობების ცვლილების საკომისიო - თუ მომხმარებელი საკუთარი სურვილით მიმართავთ ფინანსურ ორგანიზაციას, სახელშეკრულებო პირობების (ვადა, საპროცენტო განაკვეთი, უზრუნველყოფა) ცვლილების მოთხოვნით, აღნიშნულმა ფინანსურმა დაწესებულებამ შესაძლოა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას დააკისროს **საკომისიო**, კრედიტის ძირითადი თანხის ან უზრუნველყოფის საგირავნო ღირებულების მიხედვით.

ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად ცვლილების უფლება

შესაძლებელია ფინანსურ ორგანიზაციას ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდეს უფლება, მომხმარებლის თანხმობის გარეშე, ცალმხრივად შეცვალოს მისი რომელიმე მუხლი ან პირობა. ეს საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა, რადგან ფინანსური ორგანიზაცია ყოველთვის ცდილობს სხვადასხვა რისკის შემცირებას თავის სასარგებლოდ. თუმცა, აღნიშნული აუცილებლად უნდა იყოს გაწერილი ხელშეკრულებაში და მომხმარებელიც შესაბამისად უნდა იყოს ინფორმირებული შესაბამისი ცვლილების შესახებ, წინასწარ შეთანხმებულ ვადებში, წინასწარ შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალებებით.

ყურადღება! იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს მას-

ში მოცემული პირობების ფინანსური ორგანიზაციის მიერ ცალმხრივ ცვლილებას (მაგ. შეიძლება მან შეცვალოს საპროცენტო განაკვეთი), ამის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ხელშეკრულების თავსართში, სადაც ასევე მითითებული იქნება აღნიშნული ცვლილების მოწოდების ვადები და საკომუნიკაციო არხი.

ინფორმაცია სავალუტო რისკის შესახებ

უცხოურ ვალუტაში კრედიტით/დებოზიტით სარგებლობა სავალუტო რისკის წინაშე აყენებს მომხმარებელს. აღნიშნული წარმოადგენს უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ რისკს.

უცხოურ ვალუტაში საფინანსო პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში, ფინანსურმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია სავალუტო რისკებზე.

- კრედიტის უცხოურ ვალუტაში აღების დროს ვალუტის კურსის ცვლილებამ (ლარის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურებამ) შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს შენატანები ლარში. მომხმარებლის ბიუჯეტზე ეს უარყოფითად იმოქმედებს, თუ შემოსავალი აქვს ლარში და უწევთ, უცხოური ვალუტის (მაგალითად, აშშ დოლარის) ყიდვა კრედიტის დასაფარად;

- დებოზიტის უცხოურ ვალუტაში გახსნის შემთხვევაში, ვალუტის კურსის

ცვლილებამ (ლარის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გამყარების შემთხვევაში) შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს.

გამჟღავნების ტექსტი

კომერციულ ბანკებთან ერთად, სხვა ფინანსური ორგანიზაციებიც ცდილობენ მოსახლეობისგან თანხების მოზიდვას. ისინი მომხმარებელს სთავაზობენ საკმაოდ მაღალ საპროცენტო სარგებელს, თუმცა მომხმარებელმა კარგად უნდა გაიაზროს ის, რომ ასეთი ტიპის გარიგებებს შესაძლოა გარკვეული რისკებიც ახლდეს თან. სებ-ის ამჟამინდელი რეგულაციების მიხედვით:

კომერციული ბანკის გარდა, ყველა ფინანსური ორგანიზაცია (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო კავშირი და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი), მომხმარებლისგან თანხების მოზიდვისას ვალდებულია მას გააცნოს „გამჟღავნების ტექსტი“, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- აღნიშნული ფინანსური დაწესებულება არ არის ლიცენზირებული ბანკი;

- ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი;

- მისი გავორტების შემთხვევაში, მომხმარებელმა შესაძლოა ვერ დაიბრუნოს საკუთარი თანხა.

მომხმარებლის მიერ პრეტენზიის წარდგენის უფლება და ფორმები

მომხმარებელს აქვს უფლება ფინანსური ორგანიზაციის მიმართ გამოთქვას პრეტენზია, იმ შემთხვევაში თუ უკმაყოფილოა მისი მომსახურებით, არ ეთანხმება შემოთავაზებულ პირობებს ან ზოგადად თვლის, რომ მის მიმართ ადგილი აქვს არასათანადო მოპყრობას.

ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია:

- მომხმარებელს შესთავაზოს პრეტენზიის დაფიქსირების ყველა შესაძლო საშუალება, მათ შორის ზეპირი, სტანდარტული, წერილობითი და ელექტრონული ფორმით;
- მიიღოს პრეტენზია მომხმარებლისაგან და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, მომხმარებლის მიმართვიდან არაუგვიანეს 1 თვისა, აცნობოს მას საკითხის შესწავლის შედეგები და შესაძლებლობიდან გამომდინარე პრობლემის გადაწყვეტის გზები.

პრეტენზიის დაფიქსირება, არამართო დაეხმარება მომხმარებელს მისი კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში, არამედ უფრო მეტად აამაღლებს ფინანსური ორგანიზაციის პასუხისმგებლობას მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართ. პრეტენზიის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია ეროვნული ბანკის ცხელ ხაზზე +995 322 406 406

სხვა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ინფორმაცია

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ხელშეკრულების თავსართი მოიცავს საკმაოდ ვრცელ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ორგანიზაციის პოტენციური მომხმარებლისთვის, როგორც სათანადო რისკების შესაფასებლად, ასევე მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად.

ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლებში შესაძლოა იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის თავმოყრილი თავსართში, თუმცა გასათვალისწინებელია მომხმარებელსა და ფინანსურ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობისას. მომხმარებელმა ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ყურადღება უნდა გაამახვილოს მათზე და მოიძიოს არის თუ არა ეს პირობები ამ ხელშეკრულებაში. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

- ფინანსურ ორგანიზაციას შესაძლოა ჰქონდეს უფლება **მომხმარებლის თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით)** მიმართოს მის ანგარიშზე არსებული თანხა კრედიტზე არსებული ვალდებულების დასაფარად. აღნიშნული ვრცელდება როგორც მსესხებლის, ასევე თავდებ(ებ)ის/თანამსესხებლ(ებ)ის ანგარიშებზე;
- მას შემდეგ, რაც მომხმარებელზე გასცემს კრედიტს, ფინანსური ორგანიზაცია გადასცემს აღნიშნული კრედიტის მონაცემებს (მსესხებელი);

- ფინანსურ ორგანიზაციას შესაძლოა ჰქონდეს უფლება **მომხმარებლის თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით)** მიმართოს მის ანგარიშზე არსებული თანხა კრედიტზე არსებული ვალდებულების დასაფარად. აღნიშნული ვრცელდება როგორც მსესხებლის, ასევე თავდებ(ებ)ის/თანამსესხებლ(ებ)ის ანგარიშებზე;

- მას შემდეგ, რაც მომხმარებელზე გასცემს კრედიტს, ფინანსური ორგანიზაცია გადასცემს აღნიშნული კრედიტის მონაცემებს (მსესხებელი, თანამსესხებელი, თავდებ(ებ)ი, კრედიტის თანხა, ვადა, შენატანი), **„კრედიტინფო საქართველო“-ს**. ასევე, მომავალში, კრედიტის დაგვიანებით გადახდის ან გადაუხდელობის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციაც გადაეცემა ამ ორგანიზაციის შესაბამის ბაზას. აღნიშნული ინფორმაციის ნახვა შეუძლია ყველა იმ ფინანსურ ორგანიზაციას, რომელიც ასევე თანამშრომლობს „კრედიტინფო საქართველო“-სთან;

- თუ მოხდა მომხმარებლის მიერ ფინანსურ ორგანიზაციაში დაფიქსირებული **საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილება**, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აღნიშნულ ფინანსურ დაწესებულებას ამის შესახებ, რადგან შესაძლოა მომხმარებელმა დროულად ვერ მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა ცვლილებების შესახებ (მაგ.: ფინანსურმა ორგანიზაციამ გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი);

- მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიექციოს **დავის გადაჭრის რა მექა-**

ნიშნებია მოხსენიებული ხელშეკრულებაში. ეს ინფორმაცია საჭიროა იმისთვის, რომ მან საჭიროების შემთხვევაში იცოდეს რა უწყება განიხილავს მასსა და ფინანსურ ორგანიზაციას შორის არსებულ ამა თუ იმ სამართლებრივ დავას.

ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია კრედიტის დაუბრუნებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებულ რისკებზე — მაგალითად, მიმდინარე ანგარიშების დაყადაღების, მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების კრედიტის დასაფარად რეალიზაციის შესაძლო რისკებზე.

ყურადღება! ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მომხმარებელი ეთანხმება მასში მოცემულ ყველა პირობას და იღებს სხვადასხვა სახის იურიდიულ ვალდებულებას. ამიტომ, ის დეტალურად უნდა გაეცნოს მასში მოცემულ ინფორმაციას.

სასარგებლო რჩევები

ზუსტად განსაზღვრეთ, რა ვჭირდებათ და რამდენად მზად ხართ კრედიტის ასაღებად.

ეცადეთ, გაარკვიოთ რას გთავაზობენ სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციები და შეადაროთ მსგავს პროდუქტზე შემოთავაზებული პირობები ერთმანეთს.

ფინანსური ორგანიზაციისთვის ინფორმაციის მიწოდებისას იყავით მაქსიმალურად გულახდილი.

უცხოურ ვალუტაში კრედიტის აღებისას ან ანაბრის გახსნისას გაითვალისწინეთ სავალუტო რისკი.

დაფიქრდით, რამდენად მზად ხართ სხვის კრედიტზე თავდებად დასადგომად.

კრედიტის აღებამდე კარგად გაერკვიეთ შემოთავაზებულ პირობებში. გულდასმით გაეცანით ხელშეკრულებას (ფინანსური ხარჯები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, გადახდის გრაფიკი).

დასვით ნებისმიერი კითხვა თქვენთვის ბუნდოვან ან ნაკლებად გასაგებ საკითხზე, ვიდრე ხელს მოაწეროთ რაიმე სახის ხელშეკრულებას. საჭიროების შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია იურისტებთან და საბანკო საქმის პროფესიონალებთან.

პრობლემური სესხის შემთხვევაში, არ დადოთ რაიმე სახის ზეპირი შეთანხმება ფინანსურ ორგანიზაციასთან ან სესხის ამომღებ კომპანიასთან. გახსოვდეთ, რომ ყოველი გარიგება უნდა იყოს გამყარებული ხელშეკრულებით.

პრობლემური სესხის შემთხვევაში, არ დადოთ რაიმე სახის ზეპირი შეთანხმება ფინანსურ ორგანიზაციასთან ან სესხის ამომღებ კომპანიასთან. გახსოვდეთ, რომ ყოველი გარიგება უნდა იყოს გამყარებული ხელშეკრულებით.

გახსოვდეთ, ფინანსური ორგანიზაციას ან სესხის ამომღებ კომპანიას არ აქვს უფლება თქვენს შესახებ არსებული ინფორმაცია (მაგ.: სესხის ოდენობა, შენატანი და ა.შ.) გადასცეს მესამე პირს (მათ შორის მეზობელს, მეგობარს, თანამშრომელს და სხვა) თუ აღნიშნული არ რეგულირდება საბანკო ხელშეკრულებით.

გახსოვდეთ, ფინანსურ ორგანიზაციას ან სესხის ამომღებ კომპანიას არ აქვს უფლება თქვენს შესახებ არსებული ინფორმაცია (მაგ.: სესხის ოდენობა, შენატანი და ა.შ.) გადასცეს მესამე პირს (მათ შორის მეზობელს, მეგობარს, თანამშრომელს და სხვა) თუ აღნიშნული არ რეგულირდება საბანკო ხელშეკრულებით.

სშირად სესხის ამომღები კომპანიები მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით მას ურეკავენ ან უგზავნიან სხვადასხვა შინაარსის ე.წ. გაფრთხილების წერილებს, სადაც ნახსენებია სესხის დაუყოვნებლივი დაფარვის მოთხოვნა, ან ისეთი ინსტანციები როგორცაა, სასამართლო, აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა. ნებისმიერი ასეთი ჩანაწერის არსებობისას მიმართეთ იურისტს რათა დადგინდეს მისი საფუძვლიანობა, სანდოობა და სამართლიანობა.

საჭიროების შემთხვევაში დააფიქსირეთ პრეტენზია ნებისმიერი თქვენთვის მისაღები ფორმით.

გამოიჩინეთ სიფრთხილე საკუთარი თანხების დაბანდებათან/დანაზოგების სხვებისთვის მინდობასთან დაკავშირებით. თუ კომპანია (ძირითადად სხვადასხვა სახის შპს), ბაზარზე არსებულზე გაცილებით მაღალ საპროცენტო სარგებელს ან შემოსავალს გპირდებათ, ამასთან მისი საქმიანობა ნაკლებად გამჭვირვალეა დიდია რისკი იმისა, რომ თქვენ არა თუ ვერ მიიღოთ დამატებითი სარგებელი არამედ დაკარგოთ თქვენი არსებული დანაზოგიც კი.

სშირად სესხის ამომღები კომპანიები მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით მას ურეკავენ ან უგზავნიან სხვადასხვა შინაარსის ე.წ. გაფრთხილების წერილებს, სადაც ნახსენებია სესხის დაუყოვნებლივი დაფარვის მოთხოვნა, ან ისეთი ინსტანციები როგორცაა, სასამართლო, აღსრულების ეროვნული ბიურო ან სხვა. ნებისმიერი ასეთი ჩანაწერის არსებობისას მიმართეთ იურისტს რათა დადგინდეს მისი საფუძვლიანობა, სანდოობა და სამართლიანობა.

გაუფრთხილდით საკრედიტო ისტორიას, ეცადეთ დადგენილ ვადებში დაფაროთ სესხი.

ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე, დროულად ჩააყენეთ თქვენი მომსახურე ფინანსური ორგანიზაცია საქმის კურსში.

ხელშეკრულების თავსართში მოცემული ინფორმაცია

სამომხმარებლო კრედიტის შემთხვევაში

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: **9%**;
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: **16%**.


ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა და პროცენტი): **287,80 ლარი**;
- დაბღვევის ღირებულება: **300 ლარი**;
- კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი: **60 ლარი**.

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- სამომხმარებლო კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: **6,000 ლარი**;
- კრედიტის ვადა: **2 წელიწადი**;
- სესხის წინასწარი დაფარვის საკომისიო: **კრედიტის დარჩენილი ძირის 2%**;
- ვადაგადაცილების ჯარიმა: **ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე**;

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში გეპირი ან სტანდარდარტული წერილობითი ფორმით.



გაცევით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე - www.nbg.gov.ge/cp
და ცხელ ხაზზე
- +995 322 406 406

დეპოზიტის შემთხვევაში

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი

- დეპოზიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: **8%**;
- დეპოზიტის ლარში განთავსების შემთხვევაში წლიური საპროცენტო განაკვეთი: **11%**;
- დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: **7.8%**.

ფინანსური ხარჯები

- დეპოზიტის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო: **1 ლარი**;
- ბანკომატით თანხის გამოტანის საკომისიო: **0.2%**.


სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- დეპოზიტის ერთჯერადი შენატანი: **10,000 აშშ დოლარი**;
- ვადაზე ადრე გამოტანილ თანხაზე დარიცხული წლიური პროცენტი: **0.3%**;

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

- ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს;
- ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: **4.5%**.



გაცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე - www.nbg.gov.ge/cp
და ცხელ ხაზზე
- +995 322 406 406

ცოდნის შესამოწმებელი კითხვარი

(1 სწორი პასუხი – 1 ქულა)

1. რა არის კომერციული ბანკი?

- ა. ადგილი, სადაც გაიცემა მხოლოდ კრედიტი
- ბ. ადგილი, სადაც გაიცემა კრედიტი და იხსნება დეპოზიტი
- გ. ადგილი, სადაც გაიცემა კრედიტი, იხსნება დეპოზიტი და ხორციელდება სხვადასხვა ფულადი ანგარიშსწორებები

2. საქართველოს საფინანსო სისტემის მთავარ მარეგულირებელს ეწოდება:

- ა. საქართველოს კომერციული ბანკი
- ბ. საქართველოს ეროვნული ბანკი
- გ. საქართველოს სახელმწიფო ბანკი

3. დეპოზიტი/ანაბარი არის:

- ა. საბანკო ანგარიშზე დაგროვილი თანხა
- ბ. ბანკიდან ნასესხები თანხა
- გ. ავანსად აღებული თანხა

4. კრედიტი/სესხი არის:

- ა. ბანკიდან ნასესხები თანხა
- ბ. საბანკო ანგარიშზე დაგროვილი თანხა
- გ. ავანსად აღებული თანხა

5. საკრედიტო ბარათი არის:

- ა. სახელფასო ანგარიშზე მიბმული საგადახდო პლასტიკური ბარათი
- ბ. სასესხო ანგარიშზე მიბმული საგადახდო პლასტიკური ბარათი
- გ. თანხის დაგროვების ბარათი

6. რა განსხვავებაა საკრედიტო და სადებეტო ბარათებს შორის?

- ა. ერთი და იგივეა
- ბ. საკრედიტო ბარათი კრედიტის ერთ-ერთი სახეობაა, სადებეტო ბარათი კი მიბმულია მიმდინარე ან სახელფასო ანგარიშზე და არ წარმოადგენს კრედიტს
- გ. სადებეტო ბარათი კრედიტის ერთ-ერთი სახეობაა, საკრედიტო ბარათი კი მიბმულია მიმდინარე ან სახელფასო ანგარიშზე და არ წარმოადგენს კრედიტს

7. დისტანციური საბანკო მომსახურება – ეს არის მომსახურება, რომლითაც ისარგებლებთ:

- ა. მხოლოდ ბანკში მისვლის შედეგად
- ბ. ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს, ძირითადად დამოუკიდებლად, ბანკის თანამშრომლის ჩარევის გარეშე
- გ. მხოლოდ საზღვარგარეთ ყოფნისას

8. სავალუტო რისკი ეს არის:

- ა. კრედიტის ალების შიში
- ბ. ეროვნული ვალუტის გაუფასურებისას მარალის მიღების საშიშროება
- გ. უცხოურ ვალუტაში სესხის აკრძალვა

9. თავდები არის პირი, რომელიც:

- ა. იღებს კრედიტს კლიენტთან ერთად
- ბ. იღებს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში კლიენტის ნაცვლად გადაიხადოს კრედიტი
- გ. ხსნის ანაბარს ბანკში

10. საკრედიტო-საინფორმაციო ბიურო არის:

- ა. ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიში
- ბ. დადებითი საკრედიტო ისტორია
- გ. მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღებული სესხებისა და მათი გადახდების ისტორიის შესახებ

11. ვადაგადაცილება არის:

- ა. კრედიტზე შენატანის დაგვიანებით გადახდა
- ბ. გრძელვადიანი კრედიტის აღება
- გ. მოკლევადიანი კრედიტის აღება

12. უარყოფითი საკრედიტო ისტორია არის:

- ა. ჩანაწერი, კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ
- ბ. ჩანაწერი, კრედიტის დროულად დაფარვის შესახებ
- გ. ჩანაწერი, კრედიტის ერთხელ ან მრავალჯერ ვადაგადაცილებით დაფარვის შესახებ

13. კრედიტის რესტრუქტურისაცია ნიშნავს:

- ა. ბანკის მხრიდან სასამართლოში საჩივრის შეტანას
- ბ. კრედიტის გადავადებას ან სხვა პირობების ცვლილებას
- გ. კრედიტის სრულად დაფარვას

კითხვარის შედეგები:


სწორი პასუხები: **1-გ; 2-ბ; 3-ა; 4-ა; 5-ბ; 6-ბ; 7-ბ; 8-ბ; 9-ბ; 10-გ; 11-ა; 12-გ; 13-ბ;**
1-დან 5-მდე სწორი პასუხი - თქვენ ნამდვილად საჭიროებთ დამატებითი ინფორმაციის მიღებას ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კუთხით, ამიტომ აღნიშნული ბროშურა დაგეხმარებათ ცოდნის გაღრმავებასა და თქვენთვის უკეთესი გადაწყვეტილების მიღებაში;

6-დან 10-მდე სწორი პასუხი - თქვენ მეტნაკლებად იცნობთ საფინანსო სისტემას და საფინანსო პროდუქტებს, თუმცა კარგი იქნება თუ კიდევ მეტს გაიგებთ მათ შესახებ;

11-დან 13-მდე სწორი პასუხი - თქვენ საკმაოდ ინფორმირებული ხართ ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ; ეს სახელმძღვანელო კი კიდევ უფრო გაამყარებს თქვენს ცოდნას და მეტად თავდაჯერებულს გაგხდით ფინანსური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სავარჯიშო „ანაბარი-ს“ სწორი პასუხები:

1. ვადიანი;
2. ზრდადი;
3. საბავშვო;
4. ზრდადი;
5. შემნახველი;
6. ვადიანი;
7. შემნახველი.



ხსენებთ
მეგობრებს

საჭირო ბმულები:

www.nbg.gov.ge/cp

www.grovia.com.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის ცხელი ხაზი: 032 2406406

არასამთავრობო ორგანიზაცია

„საზოგადოება და ბანკების“ ცხელი ხაზი: 032 2400505



Finanzgruppe
Sparkassenstiftung für
internationale Kooperation



**german
cooperation**
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia